პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 19 (5120) | სამშაბათი, 25 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა.

არავითარი დანდობა ხალხის გაცოფებულ მტრებს! (მოწინავე)

ვ. ვ. კუიბიშევის ხსოვნას (1-ლი გვ.)

კომუნისტები იხილავენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები და მიტინგები (1-ლი გვ.)

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში (მე-2 გვ.)

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში კონტრრევოლუციურ მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი. — საბრალდებო დასკვნა (მე-3 და მე-4 გვ.)

უცხოეთში

ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტში (მე-2 გვ.).

ესპანეთის ფრონტებზე (მე-2 გვ.).

შოტანის მთავრობა არ გამოხატავს ხალხის ნებასურვილს (მე-2 გვ.).

არავითარი დანდობა ხალხის გაცოფებულ მტრებს!

დღეს იწყება საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში აღმოჩენილი კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება.

სოციალისტური სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ხალხის უბოროტესი მტრები, მეცნიერულ მუშაკთა ქურქში გახვეული საზიზღარი ჯაშუშები და დივერსანტები. ეს ქვეწარმავალნი მიზნად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობას, საქართველოს ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან და კაპიტალისტური წყობილების აღდგენას.

ხალხის ეს უსაზიზღრესი მტრები თავიანთ შავბნელ მიზნისათვის არავითარ სისაძაგლეს არ თაკილობდნენ და სჩადიოდნენ ყოველგვარ ბოროტებას, რაც კი ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს. ამ მავნებლებმა თავიანთი შხამიანი ისარი დაუმიზნეს სოციალისტური მეურნეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიცაა მეცხოველეობა და უნდოდათ ძირი გამოეთხარათ ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის.

მაგრამ სოციალისტური სამშობლოს ფხიზელი გუშაგის სახელოვანი შინსახკომის ორგანოებმა სამშობლოს გამყიდველებს,—შ. დადიანს, ა. სანაძეს, ი. გარსიაშვილსა და სხვებს დანაშაულზე წაასწრეს და ნიღაბი ჩამოჰგლიჯეს.

ეს კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაცია არის განშტოება დივერსიულ - საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში და საქართველოს მიწსახკომის აპარატში მოქმედებდა. მისმა მონაწილეებმა დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას. ისინი რევოლუციური კანონიერების მთელი სიმკაცრით უნდა იქნან გასამართლებული, როგორც სამშობლოს მოღალატენი და ხალხის მოსისხლე მტრები.

გახურებული შანთით ამოვწვათ დამპალი მუწუკები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელი ორგანიზმის დაზიანებას ლამობდნენ, მოვსპოთ უცხოეთის დაზვერვის შხამიანი ბაცილები, შეუბრალებლად გავჟლიტოთ ცოფიანი ძაღლები, რომლებიც თავისი მყრალი სუნთქვით ჩვენი ქვეყნის სუფთა ჰაერს სწამლავდნენ. არავითარი შებრალება ხალხის მტრებს! — ასეთია საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

ფაშიზმის ამ ცოფიან აგენტებს აბოროტებდათ ის გარემოება, რომ ჩვენმა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ააგო სოციალისტური საზოგადოება, რომ მშრომელთა ცხოვრება საამური და ბედნიერი გახდა. ისინი გაბოროტებული იყვნენ იმით, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენი სოციალისტური მეცხოველეობა სწრაფად ვითარდება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხის მხრივ, რომ ხორცეული და რძის პროდუქტებით აივსო ბაზრები და მაღაზიები, ხალხის ამ უსაზიზღრეს მტრებს კი, რომელთაც ადამიანის სახე დაუკარგავთ, სურდათ მეცხოველეობის ჩაშლის გზით დაემშიათ ქალაქები და სოფლები და შეეფერხებინათ წითელი არმიის მომარაგება.

ხალხის ამ უბოროტეს მტრებს უნდოდათ ჩაეშალათ მეცხოველეობის ხარისხობრივი გაუმჯობესება: მეტიზაცია და ხელოვნური განაყოფიერება, საჯიშე საქმე, ზოოტექნიკური აღრიცხვა, საკვები ბაზის გაფართოება. მათ უნდოდათ დაეკნინებინათ და გადაეშენებინათ ჯიშიანი პირუტყვი, ჩვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ხელოვნურად გაევრცელებინათ საქონლის სხვადასხვა ავადმყოფობა და სხვ.

იმათ მიმართ, ვინც შეეცადა მზარდი სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების ჩაშლას, ვინც შეეცადა ჩვენი ქვეყნის ძლიერების შერყევას, შებრალება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრობით და ბოღმით აღვსილი ეს შარაგზის ყაჩაღები, მავნებელი-დივერსანტები, გამყიდველ სიმონ ჯუღელის ხელმძღვანელობით და წაქეზებით 1930 წლიდან ეწეოდნენ მეცხოველეობაში მავნებლურ-დივერსიულ მუშაობას, ხოლო ჯუღელის სიკვდილის შემდეგ მისი როლის შესრულებას მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ყოფ. მოადგილე ტროცკისტული ნაბოლარა ვ. გვარამია განაგრძობდა. ამ ხნის განმავლობაში მათ უდიდესი ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს. ისინი, ხალხის ეს საზიზღარი მტრები, მთელი ძალღონით ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისათვის და დაეთესათ უკმაყოფილება მშრომელთა შორის.

საქართველოს მშრომელი ხალხის თვალი მიპყრობილია უზენაესი სასამართლოსაკენ. ქვეყანა უმკაცრეს განაჩენს მოელის მავნებელ-დივერსანტების მიმართ. სოციალისტური სასამართლო, რომელიც მშრომელთა ნებასურვილის გამომხატველია, დაუზოგავად დასჯის ყველას, ვინც შეეცდება ჩვენი დიდი სამშობლოს წინააღმდეგ აღმართოს თავისი ბინძური ხელი.

ტროცკისტ-ბუხარინელი დივერსანტებისა და ჯაშუშების ცდა — შეერყიათ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და ამით გაეადვილებინათ ფაშისტური ქვეყნების თავდასხმა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ—სასტიკად დამარცხდა. საბჭოთა კავშირის 170 მილიონიანი ხალხი ფხიზლად დგას თავისი სოციალისტური სამშობლოს, თავისი ბედნიერი ცხოვრების სადარაჯოზე და ბოლშევიკთა დიადი პარტიის წინამძღოლობით შეუბრალებლად სრესს სოციალიზმის მოსისხლე მტერთა უკანასკნელ ნაბოლარებს და ანგრევს მათს გველის ბუდეებს.

უძლეველია საბჭოთა სახელმწიფო. მისი ძლიერების საფუძველია კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი კავშირი, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს. არარაობას წარმოადგენს მტერი საბჭოთა ხალხის გიგანტურ ძალასთან შედარებით, მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვაძლევს უფლებას, რომ თუნდ ერთი წუთით შევასუსტოთ რევოლუციური სიფხიზლე. მტრების მიმართ ჩვენ ვართ და ვიქნებით შეუბრალებელნი, როგორც გვასწავლიდა ლენინი, როგორც გვასწავლის ხალხთა ბრძენი ბელადი, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორი დიდი სტალინი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალური კოლეგია გაარჩევს ხალხის მოსისხლე მტერთა, სამშობლოს მოღალატეთა დანაშაულს და სათანადოთ მიუზღავთ მათ. სოციალისტური სამსჯავროს მკაცრი განაჩენი, ხალხის განაჩენი იქნება.

ვ. ვ. კუიბიშევის ხსოვნას

გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო

სამი წლის წინათ, 1935 წლის 25 იანვარს, გარდაიცვალა ამხ. ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე.

ხანგრძლივი არ ყოფილა ამხანაგ კუიბიშევის სიცოცხლე (1888—1935 წ.). მაგრამ ეს არახანგრძლივი სიცოცხლე შესანიშნავია იმით, რომ ამ სიცოცხლის 30 წელზე მეტი გატარებულია დაუსრულებელ წვასა და ბრძოლაში. ამხ. კუიბიშევი ჭაბუკი იყო, როცა დაადგა რევოლუციის გზას ბოლშევიკების რიგებში, და მას ერთხელაც არ გადაუხვევია ამ გზიდან, მთელი არსებით ემსახურებოდა მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს.

როდესაც კითხულობ ამხ. კუიბიშევის ბიოგრაფიას მისი ამხანაგებისა და თანამედროვეების მოგონებებს მის შესახებ, მის საკუთარ მოგონებებს მოუსვენარი და მღელვარე ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდზე, თვალწინ წარმოგიდგება მებრძოლი ადამიანის, რევოლუციის ერთგული და მამაცი ჯარისკაცის მომხიბვლელი სახე.

უკვე 1905 წლიდან, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის 17 წლის სტუდენტი, ამხ. კუიბიშევი, როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი, ასრულებდა პარტიის პასუხსაგებ დავალებებს არალეგალური ლიტერატურის გავრცელების, იარაღის შენახვისა და გადატანის საქმეში.

სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის კუიბიშევი გამორიცხეს აკადემიიდან. იგი გადადის ომსკში, სადაც არალეგალურად მუშაობს როგორც პროპაგანდისტი, მუშაობს ბოლშევიკური ძალების დასარაზმავად. 1906 წელს მას საერთოსაქალაქო პარტიული კონფერენციის სხვა მონაწილეებთან ერთად აპატიმრებენ და სამხედრო სამართალში აძლევენ. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არ მიუსაჯეს კუიბიშევს კატორღა.

ამ დროიდან იწყება უკვე მისი, როგორც პარტიული პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის, განუწყვეტელი არალეგალური მუშაობა. კაინსკი, ტომსკი, პეტროპავლოვსკი, ომსკი, ხარკოვი, პეტერბურგი, სამარა—კუიბიშევის არალეგალური მოღვაწეობის „გეოგრაფია“ მეტად მრავალფეროვანია. რევოლუციური მუშაობა ხშირად სწყდებოდა დაპატიმრებებით, საპყრობილეში მოთავსებით, გადასახლებებით და გადასახლებიდან გამოქცევით.

ამხ. კუიბიშევის არალეგალური მუშაობის უკანასკნელი ეტაპი ეკუთვნის 1916 წელს, როდესაც იგი გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ სამარაში ჩამოვიდა ყალბი პასპორტით. დაუკავშირდა რა დაუყოვნებლივ ბოლშევიკურ ორგანიზაციას, იგი მუშაობდა ჯერ ტაბელის შემდგენელად ფურნეში, ბუხჰალტრად კოოპერატივში და, ბოლოს, პარტიამ გაგზავნა არალეგალური მუშაობისათვის მღარველად მილების ქარხანაში.

ვ. ვ. კუიბიშევის მოგონებებში იმ დროზე, როდესაც იგი მღარველად მუშაობდა, ნათქვამია:

„მე ვცხოვრობდი იოსებ ანდრიასძე ადამჩიკის პასპორტით. ქარხანაში ვიმუშავე რვა თვეს. სხვათა შორის, ქარხანაში ჩემი მუშაობის დასასრულს მე უფრო დიდ ნორმას ვასრულებდი, ვიდრე რომელიმე ძველი მღარველი“.

ასეთი იყო კუიბიშევი მუდამ. სადაც არ უნდა ემუშავნა, იგი საუცხოოდ მუშაობდა. ეს შესანიშნავი ადამიანი განირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით.

1916 წელს სამარის ბოლშევიკთა ჯგუფმა გადასწყვიტა მოეწვია ვოლგის მხარის პარტიული კონფერენცია. მაგრამ კონფერენციას მიაკვლიეს ჟანდარმებმა და იგი ჩაიშალა. კონფერენციის ყველა მონაწილე, მათ რიცხვში ამხანაგი კუიბიშევიც, დააპატიმრეს. ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობისა და გადასახლებიდან გამოქცევისათვის კუიბიშევს მიუსაჯეს ხუთი წლით გადასახლება ტურუხანსკის მხარეში.

იმ დღეებში, როდესაც თებერვლის რევოლუციის ქუხილი ისმოდა შორს პეტროგრადის ფარგლებს იქით, კუიბიშევი გადასახლებულთა ჯგუფში ქვეითად მიჰყავდათ ჩრდილოეთისაკენ. გადასახლებულნი მიდიოდნენ ხელებშეკრულნი—ერთიერთმანეთზე გადაბმულნი: მხოლოდ გასაჩერებელ ადგილებზე ხსნიდნენ ბორკილებს გადასახლებულთ. 1917 წლის 6 მარტს, როდესაც გადასახლებულთა პარტია ორასი ვერსით დაშორდა კრასნოიარსკს, მიყრუებულ სოფელში, სადაც არც ფოსტა და არც ტელეგრაფი არ იყო, ამხ. კუიბიშევმა ყველასათვის მოულოდნელად შეიტყო, რომ თებერვლის რევოლუცია მოხდა. იგი მაშინვე გაიქცა ეცნობებინა ამხანაგებისათვის სასიხარულო ამბავი.

„ბიჭები წინანდებურად დამშვიდებით სხედან და ჩაის სვამენ, — გვიამბობს ვ. ვ. კუიბიშევი თავის მოგონებებში. — მე შევსძახე მათ:

— ამხანაგებო, რევოლუცია!

მათ შემომხედეს, შემდეგ კი საერთო სიცილი ასტყდა.

— კარგ ჭორებს კი ავრცელებ!

— დიაღ, ამხანაგებო, რევოლუცია!

კვლავ ხარხარი ასტეხეს:

— როგორ სიმართლის მსგავს ტყუილს ამბობ!

ბოლოს ცრემლმორეული ვყვირი:

— ამხანაგებო, რევოლუცია მოხდა!

და უცებ ყველამ დაიჯერა. ეს იყო განუმეორებელი მომენტი. ყველა წამოიშალა და საზეიმო ხმით იმღერეს „მარსელიოზა“.

ამხანაგი კუიბიშევი კვლავ სამარაშია. იგი ხელმძღვანელობს პარტიულ ორგანიზაციას, აგროვებს და რაზმავს ძალებს მომავალი ბრძოლების გასაჩაღებლად პროლეტარული რევოლუციისათვის. ამხ. კუიბიშევის ხელმძღვანელობით სამარაში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება. იგი რევკომის პირველი თავმჯდომარეა.

იწყება ახალი შესანიშნავი პერიოდი ამხ. კუიბიშევის ცხოვრებაში, სამოქალაქო ომის დიადი ბრძოლების პერიოდი. იგი სათავეში უდგება ვოლგის მხარის პროლეტარიატის ბრძოლას, რომელიც გამოვიდა ჩეხოსლოვაკური, ესერული და მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ.

პარტია ნიშნავს მას ფრონტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უბნებზე.

კუიბიშევი არის 1-ლი არმიის, შემდეგ მე-4 არმიის პოლიტკომისარი და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი, მერე აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის ჯგუფის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი, მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი, თურქესტანის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი. და ყველგან, ყველაზე უფრო საშიშ და პასუხსაგებ პოსტებზე, სადაც მას გზავნის პარტია, იგი იჩენს მისთვის ჩვეულ სიმამაცეს, უბრალოებას, უდიდეს შრომისუნარიანობას და უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

1920 წლის დეკემბრიდან ამხანაგი კუიბიშევი „მშვიდობიან“ სამუშაოზეა. პროფკავშირული, სამეურნეო, პარტიული, კვლავ სამეურნეო, საგეგმო მუშაობა — რა უდიდესი ჰორიზონტი და გამოცდილება ჰქონდა ამ დიდ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს! 1921 წელს ამხ. კუიბიშევი არის პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, „გლაველექტროს“ უფროსი. 1922 და 1923 წლებში — პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1923 წლიდან 1926 წლამდე — ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და მუშგლეხინის სახალხო კომისარი. 1926 წლიდან—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 1930 წლიდან—სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე. ვ. ვ. კუიბიშევის სახელთან დაკავშირებულია ბევრი რამ ჩვენი მრეწველობის განვითარებაში, საბჭოთა სამეურნეო მუშაკების კადრების აღზრდა, მრეწველობის პირველი ხუთწლიანი გეგმის და მთელი სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენა.

ეს იყო სოციალიზმის მშენებლობის გმირული წლები, ამხ. კუიბიშევი ენერგიითა და გამბედაობით აღსავსე იბრძვის კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის, მთელი არსებით ემსახურება იმ საქმეს, რომელსაც მას აკისრებს პარტია. ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, იგი მხურვალედ იცავს მის ხაზს და სასტიკად ანადგურებს ყველა იმათ, ვინც ხელს აღმართავს პარტიის ძლიერებისა და ერთიანობის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს შეასუსტოს ჩვენი სამშობლო. იგი ამხელს, შეუბრალებლად ანადგურებს ტროცკისტებს, ზინოვიეველებს, ბუხარინელებს, პარტიის ამ უბოროტეს მტრებს. იგი პარტიისა და მუშათა კლასის უსაზღვროდ ერთგულია, ამიტომ ის არასოდეს არ აძლევს გასაქანს პარტიისა და მუშათა კლასის მტრებს. ამით მასში გამომჟღავნდა სტალინის მოწაფის თვისებები. ამხანაგ სტალინს კუიბიშევი ხვდებოდა და მისი ხელმძღვანელობით იბრძოდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მუშაობდა კუიბიშევი შემდეგ ყველა წლების განმავლობაში, თავისი საუცხოო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ამხ. კუიბიშევის ცხოვრების უკვე მოკლე მიმოხილვიდან აშკარაა თუ რა მძიმე დანაკლისს წარმოადგენდა ჩვენი პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელისათვის კომუნიზმის საქმისათვის ამ ერთგული და გაბედული მებრძოლის სიკვდილი.

თვითეული ადამიანი განუმეორებელია თავის ინდივიდუალურ თვისებურებათა შეხამების მხრივ. და რაც უფრო უხვად არის იგი დაჯილდოებული ნიჭით, მით უფრო ძლიერად მჟღავნდება ეს განუმეორებლობა, მით უფრო საგრძნობი ხდება ასეთი ადამიანის დაკარგვა, მით უფრო ძლიერია მწუხარება მის შესახებ.

ამხ. კუიბიშევში, ამ ძლიერ, ნიჭით უხვად დაჯილდოებულ ადამიანში ჰარმონიულად იყო შეხამებული ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხდიდნენ განსაკუთრებით ძვირფასს, განსაკუთრებით ახლობელს ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელებისათვის.

ახალგაზრდობიდანვე იგი სამუდამოდ დაადგა არალეგალური მუშაკის, პროფესიონალი რევოლუციონერის ღვაწლმოსილობის გზას. ამხანაგ კუიბიშევის ეს გადაწყვეტილება დროის მხრივ ემთხვევა რევოლუციური ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას (1905 წელი), როცა მინიმუმამდე შემცირდა მანძილი საპყრობილესა, გადასახლებასა, კატორღასა და სახრჩობელას, როგორც რევოლუციური მოღვაწეობისათვის სამაგიეროს გადახდას შორის. ჭაბუკი კუიბიშევი თავს არ იზოგავს, იგი კისრულობს უაღრესად სახიფათო დავალებებს, მას არ სურს იცოდეს არავითარი შესვენება. რამდენჯერ იყო იგი ახლოს სიკვდილთან იმ სასტიკ დროში! წაიკითხეთ მისი მოგონებანი—რა სიმამაცით ეგებებოდა იგი სამხედრო გასამართლებას 1907 წელს!

1905—1917 წლები იყო უდიდეს განსაცდელთა პერიოდი ბოლშევიკური პარტიისათვის. ცენტრალურ მომენტს ლენინისა და სტალინის სტრატეგიაში წარმოადგენდა პარტიის მებრძოლი არალეგალური ორგანიზაციის შენარჩუნება, გადიდება და განმტკიცება. მასების სტიქიური რევოლუციური აღმავლობა შეიძლებოდა დაშრეტილიყო ცალკეულ პარტიზანულ შეტაკებებში, პარტიას რომ არ მოეხერხებინა მტრებისათვის თავისი ძალების ორგანიზებულობის დაპირისპირება. მთელმა მენშევიკურმა და კონტრრევოლუციურმა ბანაკმა აქეთკენ წარმართა თავისი ცეცხლი: ლიბერალების ფარისევლური დაპირებანიც, მენშევიკების გამცემლობაც, ოპრიჩნიკ ჟანდარმების პროვოკაციებიც, მეფის მიერ დაქირავებულ ჯალათთა გააფთრებული რეპრესიებიც — ყველაფერი ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ურყევი სიმამაცე, რევოლუციის საქმის უსაზღვრო ერთგულება, ყოველგვარი მსხვერპლისათვის მზადყოფნა, მტკიცე ამხანაგური კავშირი — არალეგალურად მომუშავე ნამდვილი ბოლშევიკის ეს ძვირფასი თვისებები ამხანაგ კუიბიშევის რევოლუციური მოღვაწეობის პირველსავე ნაბიჯებში გამომჟღავნდა. აი იგი, ყუმბარებითა და იარაღით აღჭურვილი, შველის პიტერელ ამხანაგებს, იხსნის იარაღის ტრანსპორტს, რომელიც განკუთვნილია მოსკოვის 1905 წ. დეკემბრის ბრძოლებისათვის. აი იგი, მეფის პოლიციის მიერ კვალმიგნებული, საზღვარგარეთული პასპორტით ჯიბეში, რაც მას უქადის შესვენებას და სასურველ შეხვედრას მის ფიქრთა მპყრობელ ვ. ი. ლენინთან, უყოყმანოდ სთმობს ამ პასპორტს იმ ადამიანის სახსნელად, რომელსაც დაღუპვა ემუქრება ჟანდარმთა საკანში.

იგი იზრდება და კაჟდება რევოლუციურ ბრძოლაში, ეს გმირი ჭაბუკი, საუცხოო ამხანაგი, მუდამ სიცოცხლით აღსავსე, მხიარული და მხნე უაღრესად სახიფათო წუთებში. იატაკქვეშეთმა გამოაწრთო ერთგული ამხანაგისა და მებრძოლის ძალღონე და ძვირფასი თვისებები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში ამხ. კუიბიშევის სახელი განუყრელად დაკავშირებულია სამოქალაქო ბრძოლებისა და სამხედრო შეტაკებების დიად ეპოპეასთან. ეს დიადი ეპოპეა, ლენინის თქმით, შეტანილია ისტორიის დაფაზე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურისათვის პირველი ძლევამოსილი ბრძოლის უკვდავი მატიანე. ორი სამყაროს ამ გრანდიოზულ ისტორიულ ბრძოლაში ამხ. კუიბიშევის ხასიათის ძირითადი თვისებანი—მისი სიმამაცე, ორგანიზატორული ნიჭი და დამშვიდებული გამბედაობა—კიდევ უფრო მეტად გამომჟღავნდა.

როდესაც სამხედრო პერიოდი მთავრდება და იწყება კიდევ უფრო მძიმე მუშაობა სოციალისტური სამეურნეო მშენებლობის გიგანტურ დარგში, ამხ. კუიბიშევი შედის მასში ორგანიზატორის ახალი ძვირფასი თვისებებით.

მე მას უშუალოდ შევხვდი მისი მოღვაწეობის სწორედ ამ მესამე პერიოდში დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობის პერიოდში. ამხ. კუიბიშევის გაცნობისას უნებლიედ მეცა თვალში მისი უბრალოება, თავმდაბლობა, ამხანაგური მიდგომა ყველასადმი, ვისაც მასთან მუშაობა უხდებოდა. ამხ. კუიბიშევი მუდამ გაოცებას იწვევდა თავისი განსაკუთრებული სიზუსტით, მუშაობაში და უდიდესი შრომისუნარიანობით.

მე ზოგჯერ მიხდებოდა მასთან ერთად მომემზადებინა ესათუის რეზოლუცია სამეურნეო საკითხზე. და ყოველთვის ვრწმუნდებოდი, რომ ამხ. კუიბიშევი არ არჩევდა დღისა და ღამის საათებს, არ ითვლიდა ამ საათებს, უდიდესი გულმოდგინებით ფიქრობდა შესადგენი დოკუმენტის თვითეულ სიტყვაზე, თვითეულ გამოთქმაზე. მისი, როგორც ცენტრალური საკონტროლო კომისიის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის სიტყვები, გამოსვლები განირჩეოდა მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგის სერიოზული ცოდნით და ურყევი რწმენით ლენინ-სტალინის პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში.

ამხ. კუიბიშევი, როგორც არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერი, როგორც წითელი არმიის მეომარი და მებრძოლი, როგორც პროლეტარიატის მებრძოლი ძალების ორგანიზატორი, როგორც დიდი სახელმწიფო მასშტაბის მუშაკი თანაბრად ახლობელი და ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის.

გ. კრჟიჟანოვსკი

კომუნისტები იხილავენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს

დნეპროპეტროვსკი, 23 იანვარი (საკდესი). დნეპროპეტროვსკის პარტიულ ორგანიზაციებში აქტიურად იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) პლენუმის დადგენილებას „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“. კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ საკ. კ. პ. (ბ) პლენუმის გადაწყვეტილებებს.

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა პარტიული კრებები პეტროვსკის სახელობის ქარხნის მარტენის, რკინისსაგლინავსა და სხვა საამქროებში. ადგილობრივ პარტორგანიზაციათა შეცდომებს, რაც აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ, მიუთითებდნენ თავის გამოსვლებში კომუნისტები, ადგილი აქვთ ქარხნის საამქროების პარტორგანიზაციებშიაც.

პეტროვსკის სახელობის ქარხნის რკინისსაგლინავი საამქროს პარტკრებაზე გამომჟღავნდა, რომ საამქროს პარტკომი 6 თვეობით არ იხილავს პირველადი პარტორგანიზაციების მიერ პარტიიდან გამორიცხულთა აპელაციებს. ასეთი აპელაცია არის 18.

პარტიის ფარულ მტერთა მხრივ ცილისმწამებლობის ფაქტები მოგვითხრო კომუნისტმა კირილახმა.

პარტკომების მდივნები მთელ რიგ პარტორგანიზაციებში — ოლქის მიწათმოქმედების სამმართველოსი, კავშირგაბმულობისა და სხვების — სახავენ პრაქტიკულ ზომებს ჩადენილ შეცდომების გამოსასწორებლად, იწყებენ იმ კომუნისტთა საქმეების ხელახლად განხილვას, რომლებიც უმართებულოდ არიან გარიცხული პარტიიდან. პარტორგანიზაციები კისრულობენ ღრმად შეისწავლონ საკ. კ. პ. (ბ) პლენუმის გადაწყვეტილებანი და გამოიტანონ მათგან ყველა საჭირო პრაქტიკული დასკვნა.

ქ რ ო ნ ი კ ა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი გაემგზავრა ჟენევას, სადაც დაესწრება ერთა ლიგის საბჭოს მე-100 სესიას.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 20 იანვარი (საკდესი). გუშინ „მედისონ სკვერ-გარდენში“ (უდიდესი დარბაზი ნიუ-იორკში) გაიმართა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მე-14 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი. დაესწრო 20 ათასზე მეტი კაცი. რამდენიმე ათასი კაცი ვერ მოხვდა დარბაზში. უზარმაზარი დარბაზი, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, მორთული იყო დროშებით, ტრანსპარანტებითა და წარწერებით: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს — სსრ კავშირის დიად მიღწევათა ორგანიზატორს!“, „მივესალმებით სოციალიზმის ქვეყანას — საბჭოთა კავშირს!“, „ძირს ტროცკისტი ბანდიტები!“ მიტინგს თავმჯდომარეობდა ზანგ მშრომელთა ხელმძღვანელი ჯემს ფორდი. სიტყვით გამოსულთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი — ბლური, რომელიც ამ ცოტახნის წინათ დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან და გუძონი.

მიტინგის მონაწილენი მხურვალედ ესალმებოდნენ მსოფლიო რევოლუციის ბელადს ამხანაგ სტალინს, აგრეთვე ესპანეთის სახალხო ფრონტს და ჩინელ ხალხს, რომელიც იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვის.

შეკრებილებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ამხანაგ სტალინს — ლენინის საქმის დიდ განმგრძობს.

საღამო, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი

პრაღა, 23 იანვარი (საკდესი). ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავზე პრაღის ყველაზე დიდ დარბაზ „ლიუცერნაში“ გაიმართა საღამო, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი.

საღამოს, რომელიც კომპარტიამ მოაწყო, დაესწრო 5 ათასამდე კაცი. ხალხით მთლად გაჭედილ დარბაზში სამგლოვიარო ტილოები და წითელი დროშებია.

საღამო გაიხსნა „ინტერნაციონალის“ შესრულებით.

შესავალი სიტყვა ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ წარმოსთქვა კომუნისტ დეპუტატმა დოლანსკიმ. შემდეგ დიდი მოხსენებით ლენინის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ გამოვიდა პროფესორი ნეედლი (სსრ კავშირთან კულტურული და ეკონომიური კავშირურთიერთობის ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების თავმჯდომარე), რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის დასწერა დიდი სამგლოვიარო ნაწარმოები „ლენინი“. პროფესორ ნეედლის მოხსენება აუდიტორიამ დიდი ყურადღებით მოისმინა. დასასრულ სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა კლასიკური მუსიკის მთელი რიგი სამგლოვიარო ნაწარმოებნი.

ლენინის გარდაცვალების თოთხმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები, როგორც გაზეთები იუწყებიან, გაიმართა ჩეხოსლოვაკიის მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც.

პრაღის გაზეთების უმეტესობა დღეს აქვეყნებს ცნობას ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო საღამოს შესახებ, რომელიც მოსკოვში გაიმართა. გაზეთები აგრეთვე ათავსებენ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას გამართულ მრავალრიცხოვან საღამოებზე, რომლებიც მიძღვნილი იყო მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი.

მეორე ხუთწლედის სესხის მოგებათა მე-6 ტირაჟი

სსრ კავშირის ფინსახკომის გადაწყვეტილებით მეორე ხუთწლედის (მე-4 წლის გამოშვება) სესხის მოგებათა მე-6 ტირაჟი შესდგება 17 და 18 თებერვალს ქალაქ კუიბიშევში. ამ ტირაჟში გათამაშებული იქნება 1.060 ათასი მოგება, რომელთა საერთო ჯამი შეადგენს 173.920 ათას მანეთს.

(საკდესი).

◇

„ჩრდილო პოლუსის“ სადგურზე

ყინული, რომელზედაც მდებარეობს მოდრეიფე სადგური „ჩრდილო პოლუსი“, 23 იანვარს იმყოფებოდა ჩრდილო განედის 76 გრადუსსა და 38 წუთზე და დასავლეთ გრძედის 13 გრადუსსა და 35 წუთზე.

სადგურის რაიონში ცა მოწმენდილია, წყნარი ამინდია. ტემპერატურა უდრის მინუს 15 გრადუსს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

20 იანვარს შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა. საქ. სსრ სახკომსაბჭომ მოისმინა ცნობა კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვის მოვლის მდგომარეობის შესახებ. სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ თელავის, ხაშურის, ზესტაფონის, ცხაკაიას და ბაშკიჩეთის რაიონებში ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა ამ რაიონების კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალის მოვლისა და შენახვის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ არიან გამოყოფილი პირუტყვის მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი კოლმეურნეები. კოლმეურნეობათა გამგეობებმა პირუტყვის მოვლა მიანდეს მოხუც კოლმეურნეებსა და ინვალიდებს, ბაკებში დააწესეს მორიგეობით მუშაობა, რითაც გააუპიროვნეს პირუტყვის მოვლა.

პირუტყვის სადგომების მნიშვნელოვანი რაოდენობა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. კოლმეურნეობებში დღემდის არ არის დაწესებული საკვების მიცემის ნორმები. იმის გამო, რომ არ არის ბაგები, საკვების მნიშვნელოვანი ნაწილი იფანტება, მას თელავს პირუტყვი და ფუჭდება. უძლური პირუტყვი გამოყოფილი არ არის საერთო სულადობისაგან და გადაყვანილი არ არის გაძლიერებულ კვებაზე. არ არის მოწყობილი წყლის დასალევინებელი ადგილები.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვის მოვლის ასეთი მდგომარეობა შედეგია რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების, რაიმიწგანების გამგეთა უყურადღებობისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობისა.

თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და მტს-ებს შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვის მოვლის მდგომარეობა, განიხილონ ეს საკითხი რაიაღმასკომების პლენუმებზე და თვითეული კოლმეურნეობისათვის დასახონ მუშა-პირუტყვის ნორმალური შენახვისა და მოვლის უზრუნველმყოფელი ღონისძიებანი. მთელი ეს სამუშაო დამთავრებულ უნდა იქნას 1 თებერვლისათვის.

მუშა-პირუტყვის მოვლის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შორის საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აღნიშნა აუცილებლობა პირუტყვის მოვლაში არსებული გაუპიროვნების მოსპობისა, რისთვისაც ბრიგადებში გამოყოფილ უნდა იქნან ყველაზე გამოცდილი კოლმეურნეები, რომელთაც უნდა მიემაგროთ მუშა-პირუტყვი. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რაიაღმასკომებს, სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და მტს-ებს შეამოწმონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან კოლმეურნეობები აუცილებელი კონცენტრირებული და უხეში საკვებით, იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ გამოყოფილ იქნას დამატებითი საკვები და 5 თებერვლისათვის ყველა კოლმეურნეობაში დაჯავშნილ იქნას საკვები საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მთელი პერიოდისათვის.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აგრეთვე წინადადება მისცა ყველა რაიმიწგანების გამგეებს, მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს ერთი დეკადის ვადაში წესრიგში მოიყვანონ სადგომები მუშა-პირუტყვისათვის, მოაწყონ წყლის დასალევინებელი ადგილები, აგრეთვე სასტიკად დაიცვან პირუტყვის კვების დაწესებული ნორმები. საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე 15 დღით ადრე მთელი პირუტყვი დაყენებულ უნდა იქნას გაძლიერებულ კვებაზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მოისმინა აგრეთვე ცნობა, თუ როგორ სრულდება საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წ. 5 იანვრის გადაწყვეტილება „საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“. თავის დადგენილებაში საქ. სსრ სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ მიწსახკომის, რაიონული აღმასკომების, სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და მტს-ების ჯერ კიდევ სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებათა რეალიზაცია, საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადება არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს.

თბილისის მტს (დირექტორი მდივნიშვილი), აგრეთვე წნორის (დირექტორი ფეიქრიშვილი), წეროვნის (დირექტორი ბარბაქაძე), ახალსოფლის (დირექტორი აბალაკი), საგარეჯოს (დირექტორი ქემოკლიძე), კასპის (დირექტორი ვარძელაშვილი), ყვარლის (დირექტორი ჭაია), ლაგოდეხის (დირექტორი გუდკოვი) მტს-ები კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ტრაქტორების რემონტში. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მისაბმელი ინვენტარის რემონტი. აგარის, თბილისის, ყარაიას და ოსიაურის მტს-ებში ტრაქტორების რემონტი დაბალი ხარისხისაა.

საგარეჯოს, დუშეთის, ყარაიას და ხაშურის რაიონებში დღემდის შეგროვებული არ არის სათესლე მასალა. შეუწყნარებლად სუსტად მიმდინარეობს რაიონებში თესლის გაწმენდა. არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს თესლის გაცვლა კოლმეურნეობებს შორის. სახჯიშფონდმა და „ზაგოტზერნომ“ ვერ შეასრულეს ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმა და მათ არ დაუწყიათ გაცვლის ოპერაციები.

აღნიშნა რა ტრაქტორების რემონტის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია წნორის მტს-ში, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საყვედური გამოუცხადა ამ მტს-ის დირექტორს ფეიქრიშვილს და გააფრთხილა იგი, რომ თუ უახლოეს დღეებში მტს-ში სწორად არ იქნება მოწყობილი ტრაქტორების რემონტი, იგი მოხსნილი იქნება სამუშაოდან და მიცემული პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გააფრთხილა თბილისის მტს-ის დირექტორი მდივნიშვილი, ბაშკიჩეთისა — ოვანოვი, ლაგოდეხისა — გუდკოვი, ლუქსემბურგისა — ბელქანია, საგარეჯოსი — ქერქაძე, წეროვნისა — ბარბაქაძე, კასპისა — ვარძელაშვილი, ყვარლისა — ჭაია და ახალსოფლისა — აბალაკი, რომ თუ ისინი უახლოეს დღეებში არ მიიღებენ ზომებს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

თესლის გაწმენდის მოწყობის შესახებ არსებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საყვედური გამოუცხადა დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს როსტიაშვილს, დუშეთის რაიმიწგანის გამგეს გაბესაშვილს, დუშეთის მტს-ის დირექტორს სარიას და საგარეჯოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს მაღლაკელიძეს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ყველა ნაკლოვანებანი საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადებაში და დაავალა სახჯიშფონდს—ამხ. კალანდაძეს და „ზაგოტზერნოს“—ამხ. ჭოლოკავას დაუყოვნებლივ შეუდგნენ ოპერაციებს მარცვლეულის გადაცვლის დარგში.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაწვრილებით დაამუშავა საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის საჭირო საწვავი მასალის განაწილებისა და გატანის გეგმა და გამოიტანა დადგენილება, რომელიც მიწსახკომს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, „სოიუზსოვხოზტრანსს“, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ავალებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნავთის პროდუქტების გატანას თებერვალ-მარტის ლიმიტების ანგარიშში. ადგილებზე დაწესებულ უნდა იქნას სასტიკი კონტროლი ნავთის პროდუქტების ეკონომიურად ხარჯვაზე.

* * *

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ნება დართო სსრ კავშირის მოწინავე საწარმოებში სხვადასხვა დროს მიავლინოს 60 ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი საწარმოო პრაქტიკისათვის.

* * *

მოისმინა რა ცნობა ბაქტერიოფაგის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ კურორტმშენის ტრესტის მმართველს ამხ. მორეტის წინადადება მისცა უზრუნველჰყოს ინსტიტუტის მშენებლობის დამთავრება იმ ვარაუდით, რომ იგი გადაცემულ იქნას საექსპლოატაციოდ 1938 წლის ოქტომბერში.

* * *

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამუშაოები საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშების შედგენის დარგში მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად და რომ სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რაიაღმასკომებსა და საქალაქო საბჭოებს წინადადება ეძლევათ, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, წლიური ანგარიშები და ბალანსები დაამთავრონ და წარუდგინონ ისინი მიწსახკომსა და ბანკებს 1938 წ. 25 იანვრამდე. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გააუქმა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის 1938 წ. 8 იანვრის ბრძანება, როგორც ისეთი, რომელიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 29 ივლისის დადგენილებას „წლიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების წესის შესახებ“.

* * *

კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვანი ზრდის გამო და სასოფლო-სამეურნეო ბანკის კლიენტურის უფრო უკეთ მომსახურებისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო თელავის, გურჯაანის, ბორჩალოს, ხაშურის, სამტრედიის, ხობის, ჩხოროწყუს, ოჩამჩირის და ახალქალაქის საინსპექტორო ჯგუფები გარდაქმნილ იქნან სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებებად, ხოლო სტალინირის საინსპექტორო ჯგუფი — სასოფლო-სამეურნეო ბანკის სამხრეთ-ოსეთის კანტორად. სახელმწიფო ბანკის ლუქსემბურგის, საგარეჯოს, კასპის, წალკის, დუშეთის, ამბროლაურის, ხარაგოულის, ჩხარის, ვანის, ყარაიას და გაგრის განყოფილებებთან უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საინსპექტორო ჯგუფები.

* * *

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ლუქსემბურგის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მშენებლობის შესახებ და მოსმენილ იქნა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს შესრულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წ. 8 აგვისტოს გადაწყვეტილებისა „ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშათა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ“.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 20 იანვრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

შოტანის მთავრობა არ გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს

პარიზი, 20 იანვარი (საკდესი). შოტანის ახალი კაბინეტის შედგენასთან დაკავშირებით მემარცხენე პრესა აღნიშნავს, რომ აუცილებელია სახალხო ფრონტის ერთიანობის შენარჩუნება. სოციალისტური პარტიის მარცხენა ფრთის ხელმძღვანელი ჟირომსკი აცხადებს, რომ შოტანის მთავრობა არ გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს. „შოტან-ბონე-მარშანდოს მთავრობის შექმნის ექსპერიმენტი, — სწერს ჟირომსკი, — მომაკვდინებელი და გამანადგურებელია. ჩვენ არ გვსურს მთავრობა, რომელსაც არ შეუძლია პატივისცემით მოეპყრას მუშათა კლასის და სახალხო ფრონტის ინტერესებს“.

„ლუმანიტე“ სწერს:

„საფრანგეთისა და მშვიდობიანობის განუყოფელი ინტერესების სახელით სახალხო ფრონტი, რომლის ნაციონალურმა კომიტეტმა საჯაროდ დაადასტურა ერთიანობა და მისი პროგრამის შესრულების აუცილებლობა, მოითხოვს ისეთ მთავრობას, რომელიც ურყევად შეასრულებს ამ პროგრამას. მხოლოდ ასეთი მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე შექმნილი უმრავლესობა, შესძლებს დღეს სავსებით უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა, საფრანგეთის ინტერესები და მათგან განუყოფელი მონაპოვარნი ჩვენი ხალხისა“.

ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტში

ფაშისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები მიმართავენ საბოტაჟს

ლონდონი, 23 იანვარი (საკდესი). ტერუელის ფრონტზე ესპანელ მეამბოხეთა ოპერაციების ახალ გამოცოცხლებასთან ერთად და გენერალ ფრანკოს მიერ ხმელთაშუა ზღვაზე პირატულ თავდასხმათა განახლებასთან ერთად, ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტშიც გაძლიერდა საბოტაჟი ფაშისტური სახელმწიფოების მხრივ. ეს განსაკუთრებით მკვეთრად იყო დემონსტრირებული საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებულ ქვეკომისიის სხდომაზე 21 იანვარს.

დღის წესრიგის პირველ პუნქტად დასმული იყო პროექტი ესპანეთის მთავრობისა და გენერალ ფრანკოსადმი მიმართული წერილებისა „მოხალისეთა“ ევაკუაციის საკითხის თაობაზე. პროექტი წინასწარი წესით განხილული იყო ექსპერტთა კრებაზე 20 იანვარს. როგორც ვიცით, 14 ივლისის „ბრიტანული გეგმის“ შესაბამისად, რომელიც ერთხმად იყო მიღებული მთელი კომიტეტის მიერ, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენელთა ჩათვლით, მეომარი მხარის უფლების მინიჭება მხოლოდ „არსებითი ევაკუაციის“ რეალიზაციის შემდეგ ხდება.

შემდგომ ამისა, კომიტეტის გასული წლის 14 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც აგრეთვე ერთხმად მიიღო ყველამ, გერმანელთა და იტალიელთა ჩათვლით, გათვალისწინებულია, რომ ევაკუაცია მოხდება ორივე მხარეზე მყოფ „მოხალისეთა“ რაოდენობის პროპორციულობის პრინციპის მიხედვით. დღემდე ყოველივე ეს განსახილველი გეგმის ურყევ საფუძვლად ითვლებოდა.

მაგრამ გენერალმა ფრანკომ ინგლისის მთავრობის მიმართ თავისი 18 ნოემბრის ნოტით მოითხოვა მისცემოდა მას მეომარი მხარის უფლებანი მხოლოდ 5 ათასი კაცის და ისიც ორივე მხარის მიერ თანაბარი რაოდენობით ევაკუაციის შემდეგ. ამავე დროს მეამბოხეთა მეთაური, მისთვის ჩვეული თავხედობით, აყენებდა საკითხს მისი „მთავრობის“ ესპანეთის კანონიერ მთავრობად ცნობის შესახებ.

ამგვარად ფაშისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები კომიტეტში მათ მეურვეობაში მყოფი გენერლის მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ. ექსპერტთა გუშინდელ სხდომაზე მათ იწყეს „ბრიტანული გეგმის“ მათთვის არასასიამოვნო ნაწილების გაკრიტიკება.

კერძოდ ისინი ამტკიცებდნენ, რომ პროპორციულობის პრინციპი დაუძლეველ სიძნელეებს ჰქმნის პრაქტიკულად; მასთან ერთად ისინი მისახვედრად ლაპარაკობდნენ, რომ მათი გაგებით „არსებითი ევაკუაცია“ გენერალ ფრანკოს მხარეზე მომქმედ „მოხალისეთა“ რაოდენობის მხოლოდ მეტად მცირე ნაწილს შეეხება. სამწუხაროდ, ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ექსპერტთა კომისიაში მეტად ბევრი შემთანხმებლობა გამოიჩინეს, რის შედეგად გენერალ ფრანკოსადმი გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის, ინგლისისა და საფრანგეთის სახელით მიმართული წერილის პროექტში შეტანილი იქნა ბუნდოვანი ფორმულირება, რომელიც აცხადებს, რომ „კომიტეტს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია განხილვა“ ყველა იმ საკითხისა, რასაც გენერალი ფრანკო ეხება თავის ნოტის შესაბამის ნაწილში.

საბჭოთა წარმომადგენელმა ექსპერტთა კომისიაში გადაჭრით პროტესტი განაცხადა მიღებული ფორმულირების წინააღმდეგ და მის საწინააღმდეგოდ წამოაყენა თავისი საკუთარი ფორმულირება.

ქვეკომისიის დღევანდელ სხდომაზე შეუნელებლად გრძელდებოდა ფაშისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა მხრივ საბოტაჟი იმავე მიმართულებით, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის არამტკიცე პოზიციის გამო შეიქმნა საშიშროება, რომ გერმანიისა და იტალიის ზეგავლენით ქვეკომისია თანდათან შორდება თავის წინანდელ პოზიციას ევაკუაციის გეგმის საკითხის თაობაზე, ამ გეგმას ისე „განმარტავს“, როგორც ეს სასურველი იქნება ფაშისტებისათვის.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ გადაჭრით მოითხოვა, რომ გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლებმა აშკარად გამოსთქვან თავიანთი აზრი. რა სურთ მათ? თუ ისინი წინანდებურად დგანან „ბრიტანული გეგმისა“ და 14 ნოემბრის რეზოლუციის ბაზაზე, მაშინ როგორღა შეუძლიათ მათ წინააღმდეგი იყვნენ გენერალ ფრანკოსადმი მიმართული წერილის შესაფერი ნაწილის იმ ფორმულირებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იძლევა? ხოლო თუ, პირიქით, მათ სურთ უკან წაიღონ თავისი წინანდელი თანხმობა აღნიშნულ გადაწყვეტილებათათვის მხარდაჭერაზე, დაე პირდაპირ სთქვან და მასთან გაითვალისწინონ ასეთი ნაბიჯის ყველა შესაძლებელი შედეგი. 3 თვის წინათ იტალიის წარმომადგენელი გრანდი, ყველა ჰანგზე იმეორებდა, რომ „ბრიტანული გეგმა“ წარმოადგენს მეტად თავაზიანად დაბალანსებულ ერთიან კომპლექსს და რომ გეგმის სტრუქტურაში რაიმე ცვლილების შეტანის ყოველგვარი ცდა მთელი გეგმის სიკვდილი იქნება.

ამავე დროს, რას ცდილობენ ამჟამად გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლები? ისინი ცდილობენ „ბრიტანეთის გეგმის“ იმ ნაწილის მოდიფიკაციას, რომელიც ეხება პროპორციულობასა და „არსებითს ევაკუაციას“. მაგრამ მაშინ „ბრიტანეთის გეგმის“ სხვა ნაწილების გადასინჯვისათვისაც იხსნება ჭიშკარი. ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას, მაგალითად, მეომარი მხარის უფლებების მინიჭების საკითხი „მოხალისეთა“ მხოლოდ ასი პროცენტით ევაკუაციის შემდეგ. საბჭოთა დელეგატის გამოსვლამ აშკარა დაბნეულობა გამოიწვია ფაშისტურ ბანაკში, და იტალიის წარმომადგენელმა, რომელსაც მხარი დაუჭირა მისმა გერმანელმა კოლეგამ, საჩქაროდ განაცხადა, რომ იგი უნდა ეთათბიროს თავის მთავრობას.

საფრანგეთის წარმომადგენელმა კორბენმა შენიშნა, რომ არც მას აკმაყოფილებს ექსპერტთა უმრავლესობის მიერ გუშინ მიღებული ფორმულირება. საფრანგეთის მთავრობა არასოდეს არ დათანხმებულა იმაზედაც კი, რომ კომიტეტში დასმულიყო გენერალ ფრანკოს დიპლომატიური ცნობის საკითხი. შექმნილი მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალის მოსანახად, პლიმუტმა წინადადება შეიტანა სადავო საკითხი განსახილველად გადაეცათ დაინტერესებული მთავრობებისათვის. ამრიგად დამარცხდა ფაშისტური სახელმწიფოების ცდა „ფუქსით“ გაეტარებინათ პროპორციულობისა და „არსებითი ევაკუაციის“ გაუქმება.

შემდეგ ქვეკომისიამ დღევანდელ სხდომაზე მიიღო იმ გარანტიათა პროექტი, რომლებიც უნდა მიეცათ მოხალისეთა აღმრიცხველ კომისიებს მათი მუშაობის დროს ესპანეთში. „ნეიტრალობის საწინააღმდეგო მოქმედების“ ცნების განსაზღვრის საკითხზე კი, რომელმაც ამდენი კამათი გამოიწვია წინანდელ სხდომებზე, შეთანხმება კიდევ არ არის მიღწეული იმის გამო, რომ მაისკიმ უარი სთქვა ეცნო ესპანეთთან კანონიერი ვაჭრობის რაიმე შელახვა. ეს საკითხი კვლავ უნდა იქნას განხილული.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც 22 იანვარს გამოქვეყნდა, ტერუელის ფრონტზე გრძელდება ბრძოლა. მეამბოხეებმა შესძლეს რამდენადმე შეევიწროებინათ რესპუბლიკელთა ჯარები ელ-მულეტონის სამხრეთით მდებარე რაიონში (ტერუელის ჩრდილოეთით).

ორი საჰაერო ბრძოლის დროს რესპუბლიკელთა ავიაციამ ჩამოაგდო მეამბოხეთა ორი თვითმფრინავი. რესპუბლიკელებმა დაჰკარგეს ერთი თვითმფრინავი.

სამხრეთის ფრონტი

გრენადის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა ორი იერიში. მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს.

რესპუბლიკური ავიაციის მოქმედება

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რესპუბლიკელთა 20 ყუმბარმტყორცნი 21 იანვარს დილით ყუმბარებს უშენდა სალამანკას, სადაც მეამბოხეთა მთავარი შტაბი იმყოფება. რესპუბლიკურმა სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება სალამანკის ბომბარდირების შესახებ იმის საპასუხოდ, რომ ფაშისტური ავიაცია სისტემატურად ესხმის თავს ხმელთაშუა ზღვის ესპანეთის სანაპიროს.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 22 იანვარს დილით ფაშისტური ავიაცია თავს დაესხა ბარსელონის გარეუბანს. რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიამ ხელი შეუშალა ფაშისტურ თვითმფრინავებს ყუმბარები დაეშინათ ქალაქისათვის.

დილით ადრე, 22 იანვარს, ფაშისტური ავიაცია კვლავ უშენდა ყუმბარებს ვალენსიას.

შემდეგ ყუმბარები დაუშინეს ხერონას, სადაც მოკლულია 20 კაცი და დაჭრილია მრავალი.

* * *

ბარსელონა, 23 იანვარი (საკდესი). მადრიდის ყველა გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სალამანკის ბომბარდირება რესპუბლიკელთა ავიაციის მიერ წარმოადგენს რესპუბლიკელთა ავიაციის ძლიერების დემონსტრაციას და ფაშისტების გაფრთხილებას.

ესპანელმა მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს ამერიკის გემი „კენტუკი ჩიფი“

ვაშინგტონი, 23 იანვარი (საკდესი). ამერიკის კონსული პალმიდან ადასტურებს, რომ ესპანელმა მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს ამერიკის გემი „კენტუკი ჩიფი“, რომელიც ბარსელონისაკენ მიდიოდა საბჭოთა კავშირში შეძენილი ნავთით. გემის ეკიპაჟი შესდგება 27 ამერიკელისა, 2 ინგლისელისა და 1 ფინელისაგან.

ტრაქტორების რემონტი

(მიწსახკომის 20 იანვრის ცნობებით)

მტს-ების დასახელება	უნდა შეკეთდეს	შეკეთებულია ტრაქტორი	გეგმის შესრულება % %	მტს-ების დასახელება	უნდა შეკეთდეს	შეკეთებულია ტრაქტორი	გეგმის შესრულება % %
ახალქალაქი	59	26	44,1	ყვარელი	59	20	33,9
ბოგდანოვკა	44	26	59,1	ლაგოდეხი	56	16	28,6
ახალციხე	33	27	81,8	ასურეთი	34	21	61,8
აგარა	80	50	62,5	ბაშკიჩეთი	34	13	38,2
ოსიაური	55	27	49,1	თიანეთი	30	30	100
გორი	92	38	41,3	წალკა	33	18	54,5
კასპი	64	24	37,5	ქუთაისი	30	10	33,3
ახალსოფელი	44	14	31,8	სამტრედია	14	16	114,3
სტალინირი	26	14	53,8	წულუკიძე	17	16	94,1
წეროვანი	52	17	32,7	ვანი	17	11	64,7
თბილისი	62	12	18,5	ზესტაფონი	14	10	71,4
დუშეთი	26	21	80,8	აბაშა	23	19	82,6
საგარეჯო	57	20	35,1	ცხაკაია	25	14	56
ბორჩალო	90	61	67,8	გეგეჭკორი	19	16	84,2
ლუქსემბურგი	44	17	38,6	ზუგდიდი	18	10	55,6
ყარაია	53	37	69,8	ხობი	21	13	61,9
გურჯაანი	55	26	47,3	წალენჯიხა	1	1	100
კაჭრეთი	35	19	54,3	მახარაძე	11	11	100
ულიანოვკა	44	18	40,9	ლანჩხუთი	18	18	100
წნორი	93	21	22,6	გალი	11	11	100
წითელწყარო	62	25	40,3	ოჩამჩირე	26	6	23,1
თელავი	60	45	75	სოხუმი	20	17	85
				სულ	1.764	902	51,1

* * *

კაპიტალური რემონტი 380 ტრაქტორიდან გაკეთებული ჰქონდა 214-ს (გეგმის 56,3 პროც.). საშუალო რემონტის გეგმა შესრულებულია 50,6 პროცენტით (816 ტრაქტორიდან შეკეთებულია 413), მიმდინარე რემონტისა—48,4-ით.

შ. ჭანუყვაძე

საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება და კომკავშირი

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად უმაგალითო გამარჯვებებს აღწევს. წარსულში, ჩვენი სოფელი განთქმული იყო მხოლოდ უკულტურობითა და ჩამორჩენილობით. მაგრამ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით და მსოფლიო პროლეტარიატის უსაყვარლესი ბელადის— დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით ხორციელდება ლოზუნგი: „გავხადოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად ხოლო კოლმეურნენი შეძლებულებად“. სოფლად გაჰქრა სიღატაკე, უკულტურობა, და კოლმეურნე გლეხობამ ბედნიერი და საამური ცხოვრება მოიპოვა.

მაგრამ, ჩვენი პარტიისათვის უცხო და მიუღებელია მიღწეულ გამარჯვებებით გულდამშვიდება, თვითკმაყოფილება. ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სოციალისტურ მიწადმოქმედებას ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ წელს პურეულის ბეღლებს, კიდევ უფრო მეტი დოვლათით აავსოს, მოიყვანოს მეტი საკოლმეურნეო მოსავალი და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მკვეთრად და შეურიგებლად ამჟღავნებს თესვისათვის მზადების არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე სახავს მუშაობის საბრძოლო პროგრამას.

სოფლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კომკავშირელები წარმოადგენენ ახალგაზრდობის მოწინავე არმიას, რომლის მოვალეობაა სათავეში ჩაუდგეს ახალგაზრდობის მზარდ აქტივობას მესამე ხუთწლედის პირველი წლის სტალინური მოსავლიანობისათვის ბრძოლაში.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს კომკავშირის მთელი რიგი ორგანიზაციები საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შეუფასებლობას იჩენენ.

კომკავშირულ ორგანიზაციებს, ზოგიერთი ხელმძღვანელის მოუქნელი მუშაობის გამო, ბევრგან თესვისათვის მზადების ფრონტზე ჯერ კიდევ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ. ყოველივე ეს კი უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ მრავალი კომკავშირული ორგანიზაცია ამ უკანასკნელ ხანებში სავსებით ჩამოსცილდა სამეურნეო საკითხებს, თითქოს ეს მათ არ ეხებოდეს, მათს მოვალეობას არ შეადგენდეს.

ცნობილია, რომ ამ მავნე „თეორიას“ ნერგავდნენ კომკავშირში შემძვრალი მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადები. ისინი ცდილობდნენ მოეწყვიტათ კომკავშირი სამეურნეო საკითხებისაგან. საქართველოს კომკავშირმა ძირშივე უნდა აღკვეთოს ეს მავნე შეხედულება, ეს ჭამპალი მტრული „თეორია“.

კომკავშირის მთელ რიგ რაიკომებს და მათ მდივნებს (ლაგოდეხი—გორგიაშვილი, ხაშური—ზურაბაშვილი, ზესტაფონი—ბერაძე და სხვ.) არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩასდგომოდნენ სოფლის ახალგაზრდობას, რომ კომკავშირელები გამხდარიყვნენ კავშირგარეშე ახალგაზრდობის ორგანიზატორები მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში.

კომკავშირის გორის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ჩუბინიძე არ იცნობს რაიონში თესვის მზადებისათვის მიმდინარეობას. რაიკომმა ამ რამოდენიმე დღის წინათ ბიუროს სხდომა ისე ჩაატარა, რომ თესვის საკითხი არავის გახსენებია. ხოლო რა სურათი გვაქვს გორის ცალკეულ ორგანიზაციებში თესვისათვის მზადების მხრივ? ავიღოთ თუნდაც გორის მტს, სადაც 45 კომკავშირელი მუშაობს. აქ ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებას აშკარა საფრთხე მოელის. 92 შესაკეთებელი ტრაქტორიდან უკანასკნელი ცნობებით შეკეთებულია მხოლოდ 23. გორის კომკავშირის რაიკომს, მტს-ის კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის დასარაზმავად არავითარი ღონისძიება არ მიუღია. უფრო მეტიც: რაიკომს ახალგაზრდობისათვის არც კი გაუცნია სსრკ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა „საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ“.

ასევე მოიქცა ალკკ თელავის რაიკომი. მას თესვისათვის მზადების საკითხზე რაიმე კონკრეტული ღონისძიება არ მიუღია.

ამ ორიოდე დღის წინათ გამოქვეყნდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“. აღნიშნულ დადგენილებაში მოცემულია კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნათელი და კონკრეტული პროგრამა თესვისათვის მზადების დარგში.

მაგრამ ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია და მისი ბედოვლათი ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ მხოლოდ საკოლმეურნეო, სასოფლო კომკავშირულ ორგანიზაციებს ეხება. ამ მავნე და მიუღებელ შეხედულებას თავითვე დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. არცერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალაქის წამყვანი როლი ძალაში რჩება ამ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო პოლიტიკურ სამუშაოთა ფრონტზეც. საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებმა, კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის რაიკომებმა სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებისათვის საგაზაფხულო თესვის მზადებაში დასახმარებლად უნდა მიავლინონ აქტივი და საბჭოთა ორგანოებთან ერთად მოაწყონ კვალიფიციურ მუშა-ახალგაზრდობის ბრიგადების გაგზავნა ჩამორჩენილ მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1-დან 10 თებერვლამდე წარმატებით უნდა ჩატარდეს „მსუბუქი კავალერიის“ რეიდი. „მსუბუქი კავალერიის“ რაზმებმა უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები, როგორ მიმდინარეობს იარაღ-მანქანების რემონტი, სათესლე მასალის შეგროვება, გაწმენდა, შემოწმება.

საგაზაფხულო თესვის მომზადებაში ძირითადი ამოცანაა ვადაზე და მაღალხარისხოვნად დამთავრდეს იარაღ-მანქანების რემონტი, რათა მინდვრად გავიდეს ყოველმხრივ ჯანსაღ ტრაქტორთა კოლონები.

ამ საქმეში ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა. ბევრგან მტს-ის სახელოსნოებს სამუშაოთა მტკიცე გრაფიკი ჯერაც არა აქვთ, მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია, ნაკლებად ზრუნავენ შემკეთებელ მუშებზე, ტრაქტორისტებზე, სუსტია კონტროლი რემონტის ხარისხზე, არ ხდება შეკეთებული ტრაქტორების გულდასმით და ყურადღებით მიღება. ზოგიერთი ახალგაზრდა მომუშავე ხშირად აცდენს სამუშაო დღეებს, საათებს, მაგრამ ყოველივე ეს რატომღაც შეუმჩნეველი რჩება კომკავშირული ორგანიზაციებისათვის. მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია. კომკავშირულ ორგანიზაციებს „მსუბუქი კავალერიის“ რაზმების ამოძრავებით უდიდესი საქმის გაკეთება შეუძლიათ ამ მხრივ.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის გაშუქებაში უდავოდ ჩამორჩნენ საქართველოს კომკავშირული გაზეთებიც. ამ მხრივ მეტად მართებულად და სწორად გააკრიტიკა „კომსომოლსკაია პრავდამ“ 1938 წლის 3 იანვრის მოწინავეში, ხოლო შემდეგ პრესის სპეციალურ მიმოხილვაში საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ მუშაობა თესვისათვის მზადების დარგში. „კომსომოლსკაია პრავდას“ ეს სამართლიანი კრიტიკა არანაკლებ ეხება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ და საქ. ალკკ აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომკავშირულ გაზეთებს, რომლებმაც სრულიად მიივიწყეს ეს უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო კამპანია.

ჩვენმა კომკავშირულმა გაზეთებმა და მათმა რედაქტორებმა მტკიცედ უნდა შეასრულონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა, სადაც ნათქვამია, რომ გაზეთების რედაქტორებმა „ყოველდღიურად და კონკრეტულად გააშუქონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობა და შეჯიბრების მიმდინარეობა, შეამოწმონ ამით გაზეთების ხელმძღვანელთა ბოლშევიკური უნარი და მათი მოხერხება პრაქტიკულ მუშაობაში პრესის საშუალებით დახმარების გაწევისა“.

საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. „სოციალისტური შეჯიბრება,—ამბობს ამხანაგი სტალინი—არის გამოხატულება მასების საქმიანი რევოლუციური — თვითკრიტიკისა, რომელიც ეყრდნობა მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას“.

რა უნდა გააკეთონ კონკრეტულად კომკავშირის საოლქო და სარაიონო კომიტეტებმა უახლოეს დღეებში?

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე მათ უნდა ჩაატარონ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სტახანოველთა სარაიონო თათბირები, სადაც უნდა განიხილონ მომავალ საგაზაფხულო თესვაში ახალგაზრდობის სტახანოვური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხები. სტახანოვურმა მოძრაობამ უნდა მოიცვას მთელი საკოლმეურნეო მინდვრები, უნდა მოიცვას ამ მინდვრებზე არა მარტო კომკავშირელების, არამედ მთელი მებრძოლი კოლმეურნე ახალგაზრდობის მუშაობა და ამ გზით უზრუნველყოფილ იქნას საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზაცია, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ახლახან ჩატარებულ თათბირზე ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ მოცემულ მითითებათა ბოლშევიკურად შესრულება.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ლავრენტი ბერიას დახმარებით, ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების სრული განადგურებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და მთელი ახალგაზრდობის დარაზმვით, ღირსეულად დაეხმარებიან პარტიას როგორც მოსამზადებელ მუშაობაში, ისე თვით საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაში.

◆

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

საბრალდებო დასკვნა

შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანის, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სანაძის, იერემია დავითის-ძე გარსიაშვილის, შალვა ვასილის-ძე ყიფიანის, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძის, დიმიტრი სოლომონის-ძე მჭედლიშვილის, მიხეილ სტეფანეს-ძე ტიმოფეევის ბრალდებისა გამო იმ დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია საქართ. სისხ. სამ. კოდ. 58^7 და 58^{11} მუხ.

საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის მიერ 1937 წელს აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში მოქმედი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობას, საქართველოს ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან და კაპიტალისტური წყობილების აღდგენას.

ამ ამოცანის განსახორციელებლად კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ განავითარა აქტიური მავნებლური საქმიანობა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დარგში მეცხოველეობის ხაზით, რათა ძირი გამოეთხარა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ეკონომიური ძლიერებისათვის.

ეს კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს სს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში და მიწსახკომის აპარატში არსებული კონტრრევოლუციური დივერსიული ორგანიზაციის განშტოებას და მას ხელმძღვანელობდა მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაცია.

საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალებით მთლიანად დასტურდება კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ყველა მონაწილის აქტიური კონტრრევოლუციური საქმიანობა.

მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში თავისი ჩაბმის ფაქტის შესახებ ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმა**—მეცხოველეობის ინსტიტუტში მავნებლური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა—აჩვენა:

„მემარჯვენეების კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მე ჩამაბა 1930 წელს სიმონ **ჟულელმა**, რომელიც მაშინ იყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრად...“

„მალე მას შემდეგ, 1930 წლის დამლევს, მე სამუშაოდ გადამიყვანეს ზოოტექნიკურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში, სადაც ვატარებდი მავნებლურ მუშაობას“.

მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში გადასვლის შემდეგ, **დადიანმა** გაშალა იქ აქტიური მუშაობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შესაქმნელად და მავნებლობის განსახორციელებლად, ჩააბა ორგანიზაციაში ინსტიტუტის მთელი რიგი მუშაკები.

ბრალდებულმა **ა. ა. სანაძემ** ამ საკითხზე აჩვენა:

„მემარჯვენეების კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში მე ჩამაბა 1930 წელს შალვა ნიკოლოზის-ძე **დადიანმა**, სამეცნიერო-საკვლევო ზოოტექნიკური ინსტიტუტის (ყოფ. ა.-კ. სამეცნიერო-საკვლევო ზოოტექნიკური ინსტიტუტის) ყოფილმა დირექტორმა, შემდეგში მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა.

შ. **დადიანი** როგორც ჩემთან, ისე ინსტიტუტის სხვა სპეციალისტებთან ძალიან ხშირად გამოსთქვამდა თავის უკმაყოფილებას საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, რომლის ტემპები, მისი სიტყვით, მეტისმეტად დიდი იყო. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხზე დადიანი ამბობდა, რომ ეს ქვეყნის დაქვეითებას გამოიწვევსო.

დადიანთან საუბრისას, სხვა პირების დასწრებით მე თავს ვიკავებდი მისი კონტრრევოლუციური აზრებისათვის პირდაპირი მხარდაჭერისაგან, ხოლო სხვების დაუსწრებლად საუბრის დროს მე მისი თანახმა ვიყავი.

დაახლოებით 1930 წლის ივნისში თუ ივლისში შევედი **შ. დადიანის** კაბინეტში, სადაც მან ჩემთან ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ საჭიროა სამეცნიერო მუშაობა ისე წარიმართოს, რომ ამით შესაძლებელი იქნეს სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მიყენება. აქვე მან მაცნობა, რომ საქართველოში არსებობს ორგანიზაცია, რომელშიც შედიან პასუხისმგებელი პირები, კერძოდ მან გადაკვრით მიმითითა **ლ. ქართველიშვილზე**, და რომ ეს ორგანიზაცია ამოცანად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ატარებს მავნებლურ მუშაობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რათა ამით დაასუსტოს საბჭოთა კავშირის ძლიერება და იმედი აქვს კაპიტალისტური ქვეყნების მხარდაჭერისა ინტერვენციის გზით.

საუბრის დასასრულს **შ. დადიანმა** მაცნობა, რომ იგი არის წევრი ამ ორგანიზაციისა, რომლის დავალებით ეწევა მავნებლურ მუშაობას ინსტიტუტში. მე მოვიწონე კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობა, რომელიც ტარდებოდა, და მაშინ **დადიანმა** წინადადება მომცა მიმეღო მონაწილეობა კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობაში, მე დავთანხმდი. აღნიშნული დროიდან მე შ. **დადიანის** მითითებით ვეწეოდი მავნებლურ მუშაობას 1937 წლის 5 აგვისტომდე, ე. ი. საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიდან ჩემს დათხოვნამდე“.

ამაზევე ბრალდებულმა **ი. დ. გარსიაშვილმა** აჩვენა:

„დამნაშავედ ვაღიარებ თავს იმაში, რომ ვიყავი საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან არსებული კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი.

„კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში მე ჩამაბა 1933 წელს ინსტიტუტის დირექტორმა შ. ნ. **დადიანმა**“.

„დადიანმა განაცხადა, რომ იგი განზრახ აყენებს ძნელად შესასრულებელ თემატიკას, რათა ძირი გამოეთხაროს ამიერ-კავკასიის მეცხოველეობის სამეცნიერო ბაზას და ამით ძირი გამოეთხაროს მის მთელ განვითარებას.

ჩემი კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობა უნდა გამოხატულიყო იმაში, რომ გამეტარებინა მისი მავნებლური გეზი მეცხოველეობის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში.

ჩემი მავნებლური მუშაობისათვის **დადიანი** შემპირდა, რომ მომიწყობდა ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებას მოსკოვში სამეცნიერო წოდების მისაღებად. გარდა ამისა, იგი შემპირდა მატერიალურ დახმარებასაც. საუბრის დასასრულს **დადიანი** დამემუქრა, თუ მავნებლურ მუშაობაზე უარს ვიტყვი, ანდა ჩვენი საუბრის შინაარსს ვინმეს გადავცემ, მაშინ მე თვითონ გამოვაცხადებ მავნებლად და, როგორც კონტრრევოლუციონერს, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებს გადაგცემო“.

ბრალდებულმა **ნ. ა. ჯაფარიძემ** აგრეთვე აჩვენა:

„კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მე ჩამაბა 1934 წლის დამლევს საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა შალვა ნიკოლოზის-ძე **დადიანმა** იმ დროს, როდესაც მე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცხვარეობის ლაბორატორიის გამგედ ვიყავი“.

დადიანის მიერ აქტიურ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმულმა **სანაძემ** თავის მხრივ გააჩაღა მუშაობა ამ საქმიანობაში სხვების ჩასაბმელად.

ბრალდებულმა **შ. ვ. ყიფიანმა** აღიარა:

„...1931 წლიდან დაპატიმრებამდე ვიყავი წევრი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც არსებობდა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

„კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მე ჩამაბა თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებული საძოვარ მინდვრების ცენტრალური სადგურის ხელმძღვანელმა პროფ. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **სანაძემ**“.

„**სანაძემ** მითხრა, რომ არსებობს კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც თავის მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, და წინადადება მომცა შევსულიყავი ამ ორგანიზაციაში, ამასთანავე აღმითქვა, რომ ყოველგვარად დამეხმარებოდა და მხარს დამიჭერდა სამსახურში ჩემი დაწინაურებისათვის. **სანაძის** წინადადებაზე თანხმობა განვაცხადე“.

ბრალდებულმა **მჭედლიშვილმაც** უჩვენა, რომ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იგი ჩააბა ა. ა. **სანაძემ**:

„კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში მე ჩამაბა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საკვებთა მომპოვებელი განყოფილების ყოფილმა გამგემ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **სანაძემ** 1932 წლის დამლევს“.

სანაძემ მაცნობა, რომ საქართველოში არსებობს ორგანიზაცია, რომელიც მავნებლურ მუშაობას ეწევა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტშიც, და რომ ეს ორგანიზაცია თავის მიზნად ისახავს შეასუსტოს მავნებლობის გზით საბჭოთა კავშირის ძლიერება და ამრიგად მიაღწიოს არსებული წესწყობილების შეცვლას, ე. ი. დაამხოს საბჭოთა ხელისუფლება“.

მსგავსივე ჩვენებები მისცა წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა **მ. ს. ტიმოფეევმაც**:

„მე კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი ვარ 1937 წლის მარტიდან“.

„კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში ჩამაბა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საკვებთა მომპოვებელი განყოფილების ყოფილმა გამგემ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **სანაძემ**“.

ბრალდებულებმა შ. ნ. **დადიანმა** და ა. ა. **სანაძემ** თავიანთ ჩვენებებში აგრეთვე სავსებით დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ისინი აბმდნენ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ზემოაღნიშნულ პირებს.

ამგვარად ბრალდებულთა აღიარებით გამორკვეულია, რომ 1930 წლიდან აქტიურად ტარდებოდა მავნებლობა მეცხოველეობის დარგის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის საკითხებში.

მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ძირგამომთხრელ საქმიანობას წარმართავდა და ხელმძღვანელობდა მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაცია საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების ყოფილი სახალხო კომისრის ს. პ. **ჟულელის** სახით, ხოლო შემდეგ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილის ვ. პ. **გვარამიას** სახით.

ამ საკითხზე ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმა** უჩვენა:

„...1932 წლის მეორე ნახევარში **გვარამიამ**, რომელიც იმ დროს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ იყო, წინადადება მომცა გამეძლიერებინა მავნებლური მუშაობა მეცხოველეობის დარგში, ამასთანავე მითხრა, რომ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩემი მონაწილეობის შესახებ და ჩემი მავნებლური მუშაობის შესახებ მას გაგებული აქვს **ჟულელისა და ჯანდიერისაგან**“.

„...ამავე საუბრის დროს **გვარამიამ** მითხრა, რომ მავნებლური მიზნით მეცხოველეობის ჯიშების დამიხედვით დარაიონების საკითხში უნდა მივყვეთ პროფესორ **ჯანდიერის** მიერ მოცემულ მიზანდასახულობას, ე. ი. უარი უნდა ვთქვათ საქართველოს მთის საქონლისა და თუშური ცხვრების მეტიზაციაზე კულტურული გაუმჯობესებული ჯიშების საშუალებით, ეს შეაფერხებს მეცხოველეობის ხარისხობრივ ზრდას და ამით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების შემოსავლიანობის გადიდებაც ჩაიშლებაო. მეც სწორედ ამ მიმართულებით ვეწეოდი მავნებლურ მუშაობას...“

ამას ადასტურებს თავის ჩვენებებში ბრალდებული ა. ა. **სანაძეც**:

„...საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას ხელმძღვანელობდა შალვა **დადიანი**, რომელიც ყველა სადირექტივო მითითებას საქართველოს მიწსახკომში არსებული მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისაგან ღებულობდა...“

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის პრაქტიკული მავნებლური საქმიანობა მეცხოველეობის ინსტიტუტში მთელი რიგი წლების მანძილზე მიმართული იყო და მიმდინარეობდა მეცხოველეობის რეკონსტრუქციის და აღმავლობისათვის ვნების მიყენების ხაზით, რაც უნდა მომხდარიყო ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების ჩაშლის საშუალებით, როგორიც არის ხარისხობრივი გაუმჯობესება, მეტიზაცია და ხელოვნური განაყოფიერება, საჯიშე საქმე, ზოოტექნიკური აღრიცხვა, საკვებთა მოპოვება და მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მეცხოველეობის გარდაქმნისა და რადიკალური გაუმჯობესებისათვის.

ამ მიზნით მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თემატიკური გეგმები წლითი-წლობით იტვირთებოდა უსარგებლო დიდრონი თემებით, რომლებსაც ხანგრძლივი დრო (წლები) სჭირდებოდა და რომელთა შესწავლაც არავითარ პრაქტიკულ ეფექტს არ აძლევდა მეცხოველეობას და სრულიად არ შეესაბამებოდა მეცხოველეობის ინსტიტუტის წინაშე დასმულ ამოცანებს.

იმ პრაქტიკული მავნებლური მუშაობის შესახებ, რომელიც ტარდებოდა მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში, ბრალდებულმა ა. ა. **სანაძემ** უჩვენა:

„...მავნებლური მუშაობა ტარდებოდა ინსტიტუტის ყველა განყოფილებაში. მაგალითად:

ა) ჯიშების დარაიონების საკითხი ტარდებოდა პარტიისა და მთავრობის მითითებათა და თვითეული ცალკე რაიონის თავისებურებათა მხედველობაში მიუღებლად.

ბ) მეტიზაციის საკითხებს ინსტიტუტი ძალიან ნელი ტემპით ამუშავებდა, რაც გავლენას ახდენდა მეტიზაციის თემებზე.

ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საჯიშე საქმის მოგვარების საკითხებს ინსტიტუტი მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად ატარებდა. ასე, მაგალითად, წესად ჰქონდათ მიღებული ჯიშიანი პირუტყვის დავთრების არეულ-დარეულად წარმოება.

გ) ხელოვნური განაყოფიერების დარგის კადრების მომზადებას ინსტიტუტი მეტისმეტად ნელი ტემპით აწარმოებდა, ამ საკითხს კი პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ.

დ) ინსტრუქციების დამუშავების საკითხები ინსტიტუტის ყველა განყოფილებაში აგრეთვე სოფლის მეურნეობის ცხოველების თვითეული სახის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად ტარდებოდა“.

თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა შ. ნ. **დადიანმა** უჩვენა:

„...კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის დავალებით, რომელიც საქართველოს მიწსახკომის ყოფილი მოადგილის ვიქტორ პავლეს-ძე გვარამიასაგან მივიღე, მე, როგორც მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, ყოველნაირად ვუწყობდი ხელს საქართველოს მიწსახკომს, რომ მავნებლური მუშაობა ჩაეტარებინა მეცხოველეობის დარგში, „მეცნიერულად“ ვასაბუთებდი მავნებლური მუშაობის თვითეულ სახეს, რაც შემდეგში მდგომარეობდა:

ა) ვასაბუთებდი იმას, რომ შეუძლებელია თუშური ცხვრის მეტიზაცია კულტურული (წმინდამატყლოვანი) ჯიშების მაღალპროდუქტიული მწარმოებლებით;

ბ) ვასაბუთებდი აგრეთვე იმას, რომ შეუძლებელია ხევსურული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეტიზაცია ისეთი ჯიშიანი მწარმოებლებით, როგორიც არის შვიცისა და სიმენტალის ჯიშები;

გ) ვასაბუთებდი იმას, რომ შეუძლებელია კახური ღორების მეტიზაცია მაღალპროდუქტიული ინგლისური თეთრი ჯიშის მწარმოებლებით.

დ) ცდისათვის საჭირო სამეტისო სულადობის შერჩევა-გადარჩევას განზრახ არასწორად ვატარებდი, რაც იწვევდა მეტიზაციის არასწორად წარმართვას;

ე) განზრახ ვაჭიანურებდი საქართველოს იალაღებისა და კიშლაღების გაუმჯობესების ცდებს, რითაც ფერხდებოდა პირუტყვისათვის საკვები ბაზის განვითარება...“

ხელმძღვანელობდა რა მავნებლურ ორგანიზაციას მეცხოველეობის ინსტიტუტში, **დადიანი** კონტრრევოლუციური ორგანიზაციის თვითეულ მონაწილეს შესაფერ კონკრეტულ დავალებას აძლევდა მავნებლური მუშაობის განსახორციელებლად.

ამ საკითხზე მან უჩვენა:

„...ჩემ მიერ ჩაბმულ თვითეულ სპეციალისტს მავნებლურ დავალებას ვაძლევდი იმისდამიხედვით, თუ მეცხოველეობის რომელ დარგში ეწეოდნენ ისინი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას. კონკრეტულად: დოცენტმა **ნიკოლოზ ჯაფარიძემ** და უფროსმა სპეციალისტმა გრიგოლ **სანიკიძემ**, რომელნიც სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ეწეოდნენ მეცხვარეობაში, შემდეგი დავალება მიიღეს: ცდის მონაცემებით დაესაბუთებინათ, რომ შეუძლებელია თუშური ცხვრების გაუმჯობესება მათი მეტიზაციის საშუალებით კულტურული წმინდამატყლოვანი ჯიშებით—რამბულიე, პრეკოსი და ვიურტემბერგით, ამისათვის მათ უნდა ჩაეტარებინათ არასწორი ბონიტირება, ე. ი. მეტიზაციის შედეგად მიღებული საცდელი მოზარდის შერჩევა და გადარჩევა, ვინაიდან ამას უარყოფითი შედეგი უნდა მოეცა და ამით საეჭვოდ უნდა გაეხადა თუშური ცხვრის მეტიზაცია. ამის შედეგად აღნიშნული სპეციალისტები 1936 წელს, ნაცვლად იმისა, რომ მოეწყოთ სწორი მეცნიერული დაკვირვება მეტიზაციის შედეგად მიღებული მეტისური საგამოცდო მოზარდის განვითარების შესაფერ ეტაპებზე (რათა ამით უზრუნველეყოთ სწორი შერჩევა მთელი მასიდან ყველაზე უფრო ძვირფასი ხაზებისა), ამ საქმეს შლიდნენ და ყოველგვარ შესაძლებლობას სპობდნენ, რომ მეტიზაციის საშუალებით გამოყვანილი ყოფილიყო წმინდამატყლოვანი ცხვრების ჩვენთვის საჭირო მაღალპროდუქტიული ხაზები...“

„... 1936 წლამდე **ჯაფარიძე** აწარმოებდა სამეცნიერო მუშაობას თუშური ცხვრების მეტიზაციაზე ინგლისური გრძელმატყლოვანი ცხვრებით; მისი ცდების შედეგებსაც განზრახ არ იყენებდნენ 1936 წლამდე“.

ბრალდებულმა ნ. ა. **ჯაფარიძემ**, დაადასტურა რა შ. ნ. **დადიანის** ეს ჩვენება, აღიარა:

„**დადიანის** კონტრრევოლუციური დავალების შესასრულებლად მე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცხვარეობის ლაბორატორიის გამგედ ყოფნის დროს მავნებლური მიზნით შევკვეცე ლაბორატორიის თემატიკა იმით, რომ გამოვრიცხე მეცხვარეობის მთელი რიგი აქტუალური თემიბი. ოთხი აქტუალური თემიდან, რომელთა შესრულებაც ლაბორატორიას შეეძლო და რომლებიც მიმართული იყო მეცხვარეობის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ, მხოლოდ ორი თემა დავტოვე, რომელთა დამუშავებასაც, ნაცვლად ორი მუშაკისა, ეწეოდა ოთხი მუშაკი. ამრიგად ორი აქტუალური თემის დამუშავება ჩავშალე, რაც, ბუნებრივია, აფერხებდა საქართველოს მეცხვარეობის მეურნეობის გასაუმჯობესებელ მუშაობას“.

მეცხვარეობის ხაზით სამეცნიერო-საკვლევო მუშაობაში მავნებლობის შესახებ უჩვენა აგრეთვე ბრალდებულმა **ი. დ. გარსიაშვილმა**, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში:

„მეცხვარეობის ლაბორატორია—გამგე **ჯაფარიძე**. წამყვან თემას ლაბორატორიაში წარმოადგენდა ახალი ჯიშის ცხვრების გამოყვანა. ამ თემისათვის მოიპოვებოდა საწარმოებელი ბაზა (მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები).

მაგრამ ამ საქმეში ძირითადი მავნებლური აქტი იყო სათანადოდ დეტალურად შემუშავებული მეთოდიკის უქონლობა თემის დასამუშავებლად.

მავნებლობის მეოხებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა 1934-35 წლიდან მუშავდება, **ჯაფარიძეს** დღემდე წინასწარი ანგარიშიც კი არ მოეპოვება შესრულებული სამუშაოს შედეგების შესახებ.

ერთადერთი, რაც ამ თემაში მოიპოვება და რითაც ყოველთვის თავი მოჰქონდა დადიანს, არის ერთი ყოჩი, რომელიც მართლაც ახდენდა შთაბეჭდილებას თავისი გარეგნობით.

მავნებლური მიზნით **დადიანმა** და **ჯაფარიძემ** 1935 წლამდე შეაჩერეს რეალიზაცია მთავრობის გადაწყვეტილებისა მეტიზაციის გზით ადგილობრივი ცხვრის ჯიშიანობის გაუმჯობესების შესახებ.

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, სადაც მოიპოვება მეცხვარეობის ძირითადი რაიონები.

ჩვენმა მავნებლურმა ორგანიზაციამ მოახერხა მთელი რიგი წლების განმავლობაში შეეჩერებინა მეტიზაციის საკითხი მთავრობის მოტყუების გზით, რაც გამოიხატა იმით, რომ ჩვენ, ვემყარებოდით რა პროფ. **დადიანის** მავნებლურ მიზანდასახულობებს, განვაცხადეთ, რომ ადგილობრივი ცხვარი, თუშური ცხვარი—თვითონ წარმოადგენს წმინდა ჯიშს, რომელიც უკვე შეეგუა საქართველოს კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებს.

მეორე დიდი, მართალია, აქტუალური, მაგრამ მავნებლურად ჩატარებული თემა არის ადგილობრივი თხის შესწავლა.

დადიანმა და **ჯაფარიძემ** მავნებლური მიზნით ჩაატარეს მხოლოდ მეგრული თხის შესწავლა, რის გამოც არ შეიძლებოდა ჩაგვეტარებინა შედარებითი მუშაობა სხვა სახის თხებზე იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია, თუ რომელია მათ შორის ეკონომიურად ხელსაყრელი.

ამასთან ერთად, მავნებლობის მიზნით **დადიანმა** და **ჯაფარიძემ** ჩაშალეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც არის ღორის შემჭიდროება. ამ საკითხის შესახებ ინსტიტუტს დავალება ჰქონდა მთავრობისა და პარტიული ორგანოებისაგან. ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ჩაეტარებინა ეს თემა—**დადიანმა** დაავალა ის გიაურ-არხის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც, რა თქმა უნდა, ვერ შესძლო მისი დამუშავება.

მავნებლობას ჰქონდა აგრეთვე ადგილი მეცხვარეობის ჯიშის მიხედვით დარაიონების საქმეშიც.

გეგმით, პროფესორ **ჯანდიერის** მავნებლურ მიზანდასახულობათა თანახმად, ჯიშიან ცხვრად საქართველოში აღიარებულ იქნა თუშური ცხვარი, რომელსაც ამის გამო არ აუმჯობესებდნენ“.

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები მავნებლურ მუშაობას მსხვილფეხა რქიანი საქონლის შესწავლის საკითხშიც ეწეოდნენ.

ამის შესახებ უჩვენა ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმა**:

„მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გენეტიკისა და სელექციის ლაბორატორიის გამგეს შალვა ივანეს-ძე **აბულაძეს** შემდეგი დავალება მივეცი: მეცნიერულად დაესაბუთებინა და დაემტკიცებინა, რომ საქართველოს მთის პირუტყვი კარგი მეწველი პირუტყვია და რომ თუ ექნება წესიერი მოვლა, კვება და სხვ., მას შეუძლიან მნიშვნელოვნად გაადიდოს თავისი პროდუქტიულობა,—რის გამო საჭირო არ არის მისი მეტიზაცია. ეს მავნებლური დავალება საქართველოს მთის პირუტყვის ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და მისი პროდუქტიულობის ზრდას აფერხებდა, რაც შემოუსავლიანს ხდიდა საკოლმეურნეო სარძეო - სასაქონლო ფერმებს, მაშინ როდესაც საქართველოს მთის პირუტყვის გამოუმჯობესებლად უეჭველად გამოდგებიან სსრ კავშირის სხვა რაიონებიდან შემოყვანილი და აგრეთვე საქართველოში არსებული შვიცური ჯიშის მწარმოებლები. ისინი სხვა კულტურულ ჯიშებზე უფრო კარგად არიან შეგუებული მთის პირობებთან, მით უმეტეს, რომ საქართველოში არსებული შვიცური პირუტყვი სავსებით აკლიმატიზებულია და მაქსიმალურად შეიძლება მისი გამოყენება საქართველოს მთიან და მთაგორიან შესაფერ რაიონებში“. „**აბულაძემ** აგრეთვე მიიღო ჩემგან დავალება შეეზღუდა სსრ კავშირის სხვა რაიონებიდან შემოყვანილი და საქართველოში არსებული მაღალპროდუქტიული სიმენტალის ჯიშის მწარმოებელთა გამოყენება, აგრეთვე საქართველოში არსებული წითელი გერმანული ჯიშის მწარმოებელთა გამოყენება იმ საბაბით, რომ ვითომდა ისინი ვერ ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, რაც სრულიად არ არის სწორი, ვინაიდან ამ ჯიშებმა მთელი რიგი წლების განმავლობაში გვიჩვენეს თავისი სააკლიმატიზაციო უნარი და მაღალი პროდუქტიულობა; ამ ჯიშებს, თუ მათ სწორად გამოვიყენებდით, შეგვეძლო მოკლე ვადაში გაგვედიდებინა ჩვენი უჯიშო პირუტყვის პროდუქტიულობა ასი და მეტი პროცენტით. **აბულაძე** ადვილად ახერხებდა ამ მავნებლური დავალების წარმატებით განხორციელებას იმიტომ, რომ საქართველოს მიწსახკომი აგრეთვე არ ატარებდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეტიზაციის შედეგების აღრიცხვას, არ აჯამებდა მეტიზაციის შედეგებს და არ აძლევდა მას დასაბუთებულ მიმართულებას. კიდევ მეტი, საქართველოს მიწსახკომი მავნებლურად ატარებდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან საქართველოში შემოყვანილი (სსრ კავშირის მიწსახკომის განრიგებით) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე მასალის განაწილებას რაიონებსა და მეცხოველეობის მეურნეობებს შორის. საქართველოს მიწსახკომს საჯიშე მასალა შემოჰქონდა მის გამგებლობაში არსებული საჯიშე დამამზადებელი კანტორის მეშვეობით და ეს ჯიშიანი მწარმოებლები უნდა გაენაწილებინათ რაიონებსა და მეცხოველეობის მეურნეობებს შორის გეგმიანი წესით, სამეურნეო, საკვები, ბუნებრივი და სხვა პირობების, აგრეთვე მეურნეობის სადედე სულადობის ხარისხის გათვალისწინებით, მაგალითად: შვიცის ჯიში, როგორც უფრო გამძლე და თავისი ფიზიოლოგიური თვისებების მიხედვით უფრო შეგუებული შენახვის მთის პირობებთან—უნდა გაევრცელებინათ უფრო მაღალ რაიონებში, ვიდრე სიმენტალის ჯიში ანდა მით უმეტეს წითელი გერმანული ჯიში, რომელიც წარმოადგენს დაბლობი ადგილის პირუტყვს.

მაშასადამე, ამჟამად, როდესაც მეტიზაცია მასობრივ ხასიათს ღებულობს და წარმოადგენს ჩვენი უჯიშო მეცხოველეობის გაუმჯობესების ძირითად მეთოდს, მიწსახკომს უნდა ჰქონოდა გასაუმჯობესებელ მწარმოებელთა გულმოდგინედ შემუშავებული, დაზუსტებული და რაიონების მიხედვით, და თვითეული რაიონის შიგნითაც კი, დიფერენცირებული ჯიშობრივი დარაიონება, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა, არამედ საჯიშე დამამზადებელ კანტორას აძლევდა განრიგს შეეყვანა სხვადასხვა რაიონებში საჯიშე მასალა ზემოაღნიშნული მომენტების გაუთვალისწინებლად; ამის გამო ერთსადაიმავე რაიონებში შეჰყავდათ შვიცებიც, სიმენტალებიც და წითელი გერმანული ჯიშებიც, რაც მიმართული იყო მეტიზაციის ჩაშლისაკენ. ინსტიტუტს კი, და კერძოდ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ლაბორატორიის გამგეს აბულაძეს, არავითარი ზომები არ მიუღია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, არამედ, პირიქით, იგი ხელს უწყობდა მიწსახკომის ამ მავნებლურ მუშაობას.

აბულაძე ზემოაღნიშნული მეთოდებით ატარებდა მავნებლურ მუშაობას, რათა ჩაეშალა და ფართო მასების თვალში სახელი გაეტეხა იმ ღონისძიებებისათვის, რომლებსაც პარტია და მთავრობა ატარებდნენ უჯიშო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად“.

ამ საკითხზე ჩვენება მისცა ბრალდებულმა **ი. დ. გარსიაშვილმაც**:

„მავნებლობის შედეგად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ლაბორატორიას (გამგე აბულაძე) თავისი არსებობის განმავლობაში 1927-დან 28 წლამდე აქვს მხოლოდ ერთი დამთავრებული შრომა, ეს არის ჯიშობრივი დარაიონება. ეს მუშაობაც მავნებლურად არის ჩატარებული. მაგალითად, ჯიშობრივი დარაიონების გეგმით გათვალისწინებულია მთელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთლიანი მეტიზაცია იმ დროს, როდესაც საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, რომლებსაც არა აქვთ საკვები ბაზა მეწველი პირუტყვის საბაგო კვებაზე შესანახად, დარაიონება სათანადოდ უნდა ყოფილიყო შეცვლილი მით უმეტეს, რომ შვიცის ჯიში, რომლითაც განზრახული იყო მეტიზაციის ჩატარება მთელ საქართველოში, ვერ ეგუება მთის პირობებს.

როგორც მე ვაჩვენე, გათვალისწინებული იყო პირუტყვის მეტიზაცია მხოლოდ შვიცის ჯიშით, რის გამო გეგმიდან გამორიცხული იყო სიმენტალის და წითელ-გერმანული ჯიშები იმ დროს, როდესაც მთელ რიგ რაიონებს ჰყავდათ პირუტყვი — ამ ჯიშების მეტისები და მწარმოებლები.

ჯიშობრივი დარაიონების მავნებლურად შედგენილი გეგმის მეოხებით არ იყენებდნენ სიმენტალის და წითელ-გერმანული ჯიშების მწარმოებლებს“.

იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდებოდა მავნებლობა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობაში მეღორეობის ხაზით, ჩვენება მისცა ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმა**:

„ღორების გენეტიკისა და სელექციის ლაბორატორიის გამგემ დოცენტმა გრიგოლ **დევდარიანმა** მიიღო ჩემგან დავალება მეცნიერულად დაესაბუთოს და დაამტკიცოს, რომ ჩვენს პირობებში შეუძლებელია მეტიზაციის ჩატარება ჩვენი უჯიშო, მცირეპროდუქტიული ღორების (რომლებიც ძალიან მცირე ნამატს იძლევიან) შესაცვლელად გეგმიან გამაუმჯობესებელი ჯიშით — მსხვილი თეთრი ინგლისური ღორით. **დევდარიანს** აგრეთვე უნდა შეეფერხებინა ადგილობრივი, კახური ღორების მეტიზაციის საკითხის გადაჭრა იმ საბაბით, რომ ვითომდა ეს მეტიზაცია როგორც ისეთი ჯიშის მეტიზაცია, რომელიც დიდი ღირებულებისაა ამტანობისა და შენახვის სატყეო პირობებისადმი შეგუების მხრივ, მოითხოვს განსაკუთრებულ შესწავლას.

დასავლეთ საქართველოშიც **დევდარიანს** აგრეთვე უნდა გაეჭიანურებინა ადგილობრივი ღორების მეტიზაციის საკითხი იმ საბაბით, რომ ისინი დიდი ხანია მეტიზებული არიან ჩვენთვის უცნობი ჯიშებით, რომელთა აკლიმატიზაცია უკვე მოხდა და რომ ამიტომ ისინი პირველ ხანებში ვითომდა უნდა გავაუმჯობესოთ „ჯერ თვითონ“, რათა გამოვავლინოთ მათი პოტენციალური შესაძლებლობანი. **დევდარიანმა** შესძლო ამ მავნებლური დავალების განხორციელება იმის გამო, რომ საქართველოს მიწსახკომი საერთოდ არ ეწეოდა არავითარ საჯიშე მუშაობას მეღორეობის დარგში და თვითონ მავნებლურად ფუშავდა ამ სამუშაოს“.

ამას ადასტურებს თავის ჩვენებებში ბრალდებული **ი. დ. გარსიაშვილიც**.

მავნებლური მუშაობა ტარდებოდა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდიკის შესწავლისა და შემუშავების საქმეშიც, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმა** აჩვენა:

„ხელოვნური განაყოფიერების ლაბორატორიის გამგემ, უფროსმა სპეციალისტმა შალვა **გენძეხაძემ** მიიღო ჩემგან შემდეგი დავალება: მავნებლურად ჩაატაროს ხელოვნური განაყოფიერება იმ შემთხვევებში, როდესაც ლაბორატორიას მოუხდება პრაქტიკული დახმარების გაწევა წარმოებისათვის, ე. ი. ჩაატაროს განაყოფიერება მდარე ხარისხით, გაანაყოფიეროს უმთავრესად ისეთი დედა-ცხვრები, რომელთა დაგრილების დრო არ იყო დამდგარი, ანდა გაანაყოფიეროს დედაცხვრები ჯიშიან მწარმოებელთა აშკარად არა აქტიური სპერმით, რის გამო განაყოფიერებული დედა-ცხვრების დაახლოებით 20-30 პროცენტი ბერწი რჩებოდა, ამის შემდეგ ამ დედა-ცხვრებთან მიუშვებდნენ თუშურ ყოჩებს, და, მაშასადამე, აზრი ეკარგებოდა მეტიზაციას, ვინაიდან მეტისის ნაცვლად მეტიზებულ ჯოგში ვღებულობდით თუშური ჯიშის ნამატს საერთო სულადობის 20-დან 30 პროცენტამდე. **გენძეხაძე** ასრულებდა ამ ჩემს დავალებას“.

ამავე საკითხზე ჩვენება მისცა ბრალდებულმა **ი. დ. გარსიაშვილმა**:

„ხელოვნური განაყოფიერების ლაბორატორიას, რომელსაც **გენძეხაძე** განაგებდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მან ძირითადად უნდა გადასჭრას მეცხოველეობის განვითარების და ჯიშის გაუმჯობესების სა-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

საბრალდებო დასკვნა

(დასასრული)

კითხი, დახმარება გაუწიოს ადგილებს ამ მუშაობის ჩატარებაში და სხვ.

მაგრამ ლაბორატორიას არ დაუმუშავებია არც ერთი თემა, რომელთა უმრავლესობაც ჩაიშალა.

გენძეხაძე აყენებდა ისეთ თემებს, რომლებიც უკვე დამუშავებული იყო მეცხოველეობის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მიერ".

მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დანარჩენ დარგებთან ერთად, რომელთა შესწავლა მავნებლურად ტარდებოდა, ძირგამომთხრელი მუშაობა სწარმოებდა საკვებმოპოების საკითხშიც.

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინტიტუტის საკვებმოპოების სექტორის ყოფილმა გამგემ ბრალდებულმა **ა. ა. სანაძემ** აჩვენა:

„მე 1931-37 წლების მანძილზე საკვებმოპოების განყოფილების თემატიურ გეგმებს განზრახ ვტვირთავდი უსარგებლო თემებით, რომლებსაც სოციალისტური მიწათმოქმედებისათვის აქტუალური მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ამ თემების დამუშავებაზე, ფულადი სახსრების დახარჯვის შედეგად ზიანის გარდა არავითარი საწარმოო ეფექტი არ მოჰყოლია.

„იმავე პერიოდის მანძილზე მე, **შ. დადიანის** დავალებით, განზრახ ვაფერხებდი ინსტიტუტის თანამშრომელთა გაგზავნას დასაყრდენ პუნქტებზე: არ ვუზრუნველვყოფდი პუნქტებს საჭირო მოწყობილობითა და ფულადი სახსრებით. ამის შედეგად თესვა და დამუშავება თავის დროზე არ სწარმოებდა, რის გამო ცდების უმრავლესობა იღუპებოდა. ამით დიდი ზარალი მოსდიოდა სახალხო მეურნეობას".

„1931 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებობდა 4 დასაყრდენი პუნქტი და ერთი განყოფილება, რომლებიც ეკუთვნოდნენ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საკვებმოპოების განყოფილებას. დასავლეთ საქართველოში — აჯამეთის პუნქტი, აღმოსავლეთ საქართველოში გორელოვკის, ახალქალაქის, ბაკურიანის პუნქტები და ქციის განყოფილება. ამათ მე და შ. **დადიანი** მავნებლური მიზნით თანდათან ვხურავდით და 1937 წლისათვის დარჩა მხოლოდ ბაკურიანის დასაყრდენი პუნქტი და ქციის განყოფილება. ამის შედეგად საქართველოს ყველაზე უმდიდრესი ნაწილი ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების მხრივ — ბოგდანოვკის და ახალქალაქის რაიონები დატოვებული იყო სამეცნიერო მომსახურების გარეშე. ამით განზრახ იყო შეფერხებული და ჩაშლილი საქართველოს განვითარება მდელოების და საძოვრების მეურნეობისა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მეურნეობისათვის, განსაკუთრებით მეცხოველეობისათვის".

„1935 წელს დაიხურა ახალქალაქის საკვებმოპოების დასაყრდენი საცდელი პუნქტი. აღნიშნულ პუნქტზე 1933 წლიდან 1935 წლამდე მუშაობდა დ. ს. **მჭედლიშვილი,** რომელმაც ჩემი და შ. **დადიანის** დავალებით განზრახ ჩაშალა ორი ხანგრძლივი თემა: ა) საკვები ბალახების სახეებისა და ჯიშის გამოცდა ახალქალაქის პლატოს პირობებში. ბ) ძირნაყოფა ბალახების ჯიშგამოცდა იმავე რაიონში.

ამ მავნებლური მუშაობის შედეგად ახალქალაქის რაიონმა დაჰკარგა საკვების — საკვები ბალახებისა და ძირნაყოფას ნაცადი ასორტიმენტი".

„ყოველწლიურად განზრახ ჭიანურდებოდა მუშაობის დაწყება საზამთრო საძოვრებზე, ვინაიდან 1935 წელს შ. **დადიანმა,** იცოდა რა, რომ გიაურ-არხის ზონალური სადგური უნდა დაიხუროს, მომცა განკარგულება დამეწყო საცდელი სამუშაოები ამ სადგურის ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე საცდელი სამუშაოების ჩასატარებლად მე გავგზავნე კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი **დ. მჭედლიშვილი.** ამის შედეგად მუშაობა ჩაიშალა [illegible]

რაციონალურად გაძღოლის შესახებ, ხოლო, დახარჯული სახსრები ხანგრძლივ პერიოდში დაუქმებული იყო".

დაადასტურა რა ბრალდებულმა დ. ს. **მჭედლიშვილმა** სანაძის ჩვენება, მისცა აგრეთვე ჩვენება საკვებმოპოების სექტორის ხაზით თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ.

„1934-1935 წლებში მე ვმუშაობდი თემაზე ახალქალაქის რაიონში ძირნაყოფას დანერგვის შესახებ. საკვების მოპოების განყოფილების ყოფილი გამგის ალექსანდრე **სანაძის** დავალებით მე დავთესე 12 ჯიშის საკვები ჭარხალი 7.200 კვ. მეტრზე: ორი ჯიშის საკვები სტაფილო და ორი ჯიშის ხული — 2.400 კვ. მეტრ ფართობზე. აღნიშნული ნათესების შემუშავება თავის დროზე არ ჩატარებულა, ვინაიდან **სანაძემ** განზრახ შეაჩერა იმ ფულადი სახსრების გაღება, რომლებიც ამ ნათესების შესამუშავებლად იყო დანიშნული. ამის შედეგად მოსავალი ძალიან მცირე იყო. ამას გარდა, აღნიშნული ძირნაყოფას მოსავლის აღება იმავე მიზეზებით გვიან მოხდა, რის გამო შეუძლებელი გახდა შეგვედგინა სწორი ინსტრუქცია ახალქალაქის რაიონში ძირნაყოფა ბალახების დანერგვის შესაძლებლობის შესახებ. ეს ინსტრუქცია ჩემს დაპატიმრებამდე არ იყო დამთავრებული".

ამავე საკითხზე ბრალდებულმა **შ. ვ. ყიფიანმა** აჩვენა:

„საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საკვებმოპოების ლაბორატორიაში მავნებლური მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ თავის დროზე არ ტარდებოდა საცდელი სამუშაოები ინსტიტუტის მიერ დასახული თემების მიხედვით; სწორად არ ტარდებოდა სამეცნიერო სამუშაოები, რომლებიც არ იძლეოდა პრაქტიკულ შედეგებს წარმოებისათვის, არ ხდებოდა წარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი აქტუალური საკითხების მეცნიერული დამუშავება".

„ამის შედეგად საკვებმოპოების ლაბორატორიას ბოლო დრომდე ფაქტიურად არ განუხორციელებია არც ერთი საკითხი, დაკავშირებული წარმოების მოთხოვნილებებთან".

„1935 წლამდე მინერალურ სასუქებზე ჩატარებული ცდების დროს არ სწარმოებდა ნიადაგების ანალიზი; ასეთი ანალიზი კი შესაძლებლობას მოგვცემდა მიგვეღო და შემდეგ წარმოებისათვის გადაგვეცა ცნობები იმის შესახებ, თუ რა ნიადაგშია შეტანილი სასუქი და როგორია ამის შედეგები.

მინერალურ სასუქებზე ჩატარებული ცდების შედეგები, რომლებიც მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, თუ როგორი მოსავალი იყო მიღებული, გამოქვეყნდა 1935 წელს ინსტიტუტის ჟურნალში. „Труды ЗАК НИИЖ".

გეობოტანიკაში მუშაობის ჩატარებისას (**სანაძე**) საჭიროა ნიადაგთა ანალიზის მოხდენა იმის გამოსარკვევად, თუ როგორია ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის ცვლილებანი და მისი გავლენა მცენარეზე მომავალში — აუმჯობესებს თუ აუარესებს მას.

ნიადაგთა სინჯებს მათი ქიმიური ანალიზის მოსახდენად ლაბორატორია აგროვებდა 1930 წლიდან, მაგრამ ეს სინჯები დღემდე გამოუყენებელია, ხოლო, თუ ახლა მოვახდენთ ამ ნიადაგთა ანალიზს, მიღებული შედეგები არ იქნება სწორი, რადგან 7 წლის მანძილზე ამ ნიადაგთა ქიმიურ შემადგენლობაში უეჭველად მოხდა ცვლილებანი, რომლებსაც ვერ ასახავენ არსებული ძველი სინჯები.

ნიადაგთა ანალიზთან ერთად საჭიროა მცენარეების აღრიცხვა და მათი დახასიათება იმ მხრივ, რომ, ესა თუ ის მცენარე წელიწადის რომელ დროშია უფრო ნოყიერი და ვარგისი პირუტყვის გამოსაკვებად.

ასეთი უაღრესად აქტუალური, წარმოების ინტერესებთან უშუალოდ დაკავშირებული მუშაობის ნაცვლად, **სანაძე** დაკმაყოფილდა მხოლოდ ნიადაგების გარეგნული აღწერით და მცენარეთა ჩამოთვლით, რაც, აშკარაა, არაფერს არ აძლევს წარმოებას და წარმოადგენს ინტერესს მხოლოდ მეცნიერი მუშაკებისათვის, რომელთაც სურთ გაეცნონ ამათუიმ რაიონის მცენარეულობას. [illegible]

გორც სპეციალისტმა, მხარი დავუჭირე შ. **დადიანთან** გამართულ თათბირზე, როგორც საკოლმეურნეო მეურნეობისათვის საჭირო ინსტრუქციას. ნამდვილად კი იგი მავნებლურ მიზანდასახულებებს შეიცავდა".

მავნებლურ მუშაობაზე ამ დარგში აჩვენა ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმაც:**

„საკვებმოპოების სექტორის გამგეს პროფ. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **სანაძეს** მე მივეცი დავალება ჩაეშალა მეცნიერულ - საკვლევო მუშაობა მიმართული ჩვენი სათიბების, ნათესი ბალახებისა და როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრების მოსავლიანობის გასადიდებლად, რის შედეგად ცდებმა საზამთრო საძოვრებზე ბალახგამძლეობის გასადიდებლად დღემდე დადებითი შედეგები ვერ გამოიღეს, რადგან მეთოდური ცდები მავნებლური მიზნით არასწორად იყო დაყენებული, რის გამო ჩვენი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ინსტიტუტისაგან ვერ მიიღებენ ვერავითარ პრაქტიკულ მითითებას იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა გზით უნდა გაძლიერდეს საზამთრო საძოვრების ნაყოფიერება; ეს საძოვრები საქართველოში იმდენად გადატვირთულია, რომ ათეული ათასობით ცხვარი აზერბეიჯანისა და დაღესტნის საზამთრო საძოვრებზე ბალახობს. აღნიშნული განყოფილების მიერ ჩატარებულია აგრეთვე ცდები საზაფხულო საძოვრების გასაუმჯობესებლად; სამთო-სატყეო ზონის სათიბებზე მინერალურ სასუქთა შეტანის ნორმების დასაწესებლად მის მიერ ჩატარებული ცდები კი თუმცა დადებით შედეგს იძლევიან, მაგრამ აგრეთვე მავნებლური მიზნით არიან შედგენილი იმის გამო, რომ მინერალური სასუქები ჯერ კიდევ არ მოგვეპოება ისეთი რაოდენობით, რომ ამ სასუქებით უზრუნველვყოთ ჩვენი სათიბები. ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ გამონახა საზაფხულო საძოვართა რაც შეიძლება სწრაფი გაუმჯობესების უფრო იაფი და ეფექტური გზები, **სანაძე** საკვებმოპოების განყოფილების მუშაობას წარმართავდა არარეალური მიმართულებით და ამით აფერხებდა საზაფხულო საძოვართა გაუმჯობესების საკითხთა გადაჭრას".

როგორც წინასწარი გამოძიებით გამოირკვა მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში მავნებლობის ერთერთი ყველაზე ქმედი ხერხი იყო მავნებლობა სამეცნიერო მუშაობის თემატიკაში. ეს მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ თემატიკურ გეგმაში შესასწავლად შეჰქონდათ არა აქტუალური საკითხები, რომელთაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ამავე დროს ამ სამუშაოზე მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯებოდა, რადგან ამ არასაჭირო თემებს დიდხანს სწავლობდნენ — რამდენიმე წლის განმავლობაში.

ბრალდებულმა **ი. დ. გარსიაშვილმა** ამ საკითხზე აჩვენა:

„ჩემი კონტრრევოლუციური მუშაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მე მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარების პრაქტიკული საკითხების სამეცნიერო დამუშავების საქმეში ვატარებდი **დადიანის** მავნებლურ მიზანდასახულებებს.

ამ მიზნით მე მავნებლურად ვადგენდი ინსტიტუტის მუშაობის გეგმებს, სადაც შემქონდა ლაბორატორიების გამგეთა მიერ წარმოდგენილი არააქტუალური თემები, რომელთა დამუშავებას რამდენიმე წელი და დიდი ხარჯები დასჭირდებოდა.

თავის მხრით წამოყენებული დიდი არააქტუალური, წმინდა აკადემიური ხასიათის თემების დამუშავება შეუძლებელი იყო, რადგან ინსტიტუტში არსებული სპეციალისტთა კადრები თავისი მომზადებითა და ცოდნით ვერ შესძლებდნენ ამ მუშაობის შესრულებას.

ხანგრძლივი ხასიათის თემების წამოყენება კიდევ იმას უწყობდა ხელს, რომ ძნელი იყო შესრულებული მუშაობის შემოწმება, ამით კი იმალებოდა წარმოებული მავნებლური მუშაობა".

ამას ადასტურებს ბრალდებულ **მ. ტიმოფეევის** ჩვენებაც.

„ინსტიტუტის თემატიკურ გეგმებში შეგვქონდა ისეთი თემები, [illegible]

თემა გეგმაში იყო რამდენიმე თვის განმავლობაში და 1937 წელსაც, არათუ არ ყოფილა მიღწეული რაიმე დადებითი შედეგები მის გადასაჭრელად, არამედ არ ყოფილა ჩატარებული ველურ ბალახთა დათესვაც და დარგვაც, რაშიც მე დავრწმუნდი: როცა 1937 წლის სექტემბერს ვინახულე საცდელი უბანი საბჭოთა მეურნეობა „უდაბნოს" საგაზაფხულო საძოვრების ტერიტორიაზე. ამით სახელმწიფოს ყოველწლობით ზარალი მოსდიოდა, რადგან ამ თემის დასამუშავებლად ყოველწლივ ხდებოდა ფულადი სახსრების გაღება და ხარჯვა".

ამის შესახებ აჩვენა აგრეთვე ბრალდებულმა დ. ს. **მჭედლიშვილმაც.**

„თემატიკურ გეგმებში შეგვქონდა ისეთი თემები, რომელთაც სახალხო მეურნეობისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, როგორც მაგალითად, თემა „მინერალურ სასუქთა გავლენა ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე", რომელიც მუშავდებოდა ერთი მხრით იმის გაუთვალისწინებლად, იყო თუ არა გეგმითი შესაძლებლობა საქართველოში მინერალური სასუქების შემოზიდვისა საძოვრებზე გამოსაყენებლად, ხოლო მეორე მხრით აღნიშნული თემა არ იყო დასაბუთებული ეკონომიური თვალსაზრისით".

მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში არსებული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია სოციალისტური მეცხოველეობისათვის ძირის გამოთხრის ერთერთ მეთოდად ხმარობდა მავნებლური ინსტრუქციების გამოშვებას; იგი მიზნად ისახავდა ფართოდ გაევრცელებინა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში პირუტყვის მოვლის მავნებლური მეთოდები.

ბრალდებულმა **ჯაფარიძემ** ამ საკითხზე აჩვენა:

„მე მავნებლურად უნდა შემედგინა მეცხვარეობის ინსტრუქციები, რომელთა შედგენას საქართველოს მიწსახკომი ინსტიტუტს ავალებდა. ამ მიზნით მე შევადგინე ცხვრების ადრეული დოლის ინსტრუქცია, სადაც განზრახ გავადიდე კონცენტრირებული საკვებით ცხვრების დამატებითი კვების ნორმა იმ ვარაუდით, რომ გამომეწვია სიძნელენი მეცხვარეობის მეურნეობის კვების საკითხში. ეს ინსტრუქცია „ადრეული დოლის" შესახებ მდგომარეობდა იმაში, რომ თითქოს მეტისი — ცხვრების სულადობა აუცილებლად საჭიროებდა დიდ დამატებითს კვებას, მაშინ როდესაც მეტისური მეცხვარეობა ძირითადად საძოვრული მეცხვარეობაა და განსაკუთრებულ დამატებითს კვებას არ საჭიროებს".

მავნებლურ მუშაობაზე ინსტრუქციების გამოშვების დარგში აჩვენა აგრეთვე ბრალდებულმა დ. ს. **მჭედლიშვილმა.**

„ინსტიტუტის მიერ შედგენილი ინსტრუქციები შეიცავდნენ მავნებლობის მომენტებს, როგორც მაგალითად, ინსტრუქცია სამდელო საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი ამ საკითხში არავითარ მუშაობას არ ეწეოდა, მაინც 1937 წელს გამოცემულ იქნა ინსტრუქცია სამდელო საძოვართა ზედაპირული გაუმჯობესების შესახებ, როგორც ინსტიტუტის შრომები, მაშინ როდესაც იგი გადმოღებული იყო სსრ კავშირის მიწსახკომის ძველი, ჯერ კიდევ 1934 წელს გამოცემული ინსტრუქციიდან".

ასევე მოექცნენ დასილოსების ინსტრუქციას.

ამ საკითხზე ანალოგიური მითითებანი მისცა ბრალდებულმა შ. ნ. **დადიანმაც.**

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია თავის ძირგამომთხრელ მუშაობას ავრცელებდა უმაღლეს სასწავლებლებშიც, სახელმძღვანელოთა გამოშვებით და სხვ. ასევე იქცეოდნენ ლექციებზე მეცხოველეობის მავნებლურ მეთოდების გატარებით.

ამ გზით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მიისწრაფოდა დაემახინჯებინა საბჭოთა სპეციალისტების ახალგაზრდა კადრები.

ბრალდებულმა **ა. ა. სანაძემ** ამის შესახებ აჩვენა:

„მე უმაღლეს სასწავლებლებში [illegible]

1935 წელს **შ. ყიფიანმა** შეადგინა „პრაქტიკუმი საკვებმოპოებაში", გამოცემული ჩემი რედაქციით საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის მიერ ლიტოგრაფიული წესით. აღნიშნულ წიგნში განზრახ არ იყო მოცემული სწორი მითითებანი საკვებმოპოების შესახებ, აგრეთვე საკვების საკითხი არ იყო დაკავშირებული მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან. მე ეს წიგნი ვურჩიე სტუდენტებს, როგორც აუცილებელი სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკული მუშაობის დროს. როგორც პირველი, ისე მეორე წიგნი სტუდენტებს გზაკვალს უბნევდა".

„ზემოთ აღნიშნულ წიგნებს მე ვურჩევდი აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტებს, სადაც მე ბალახ-თესვის კურსს ვკითხულობდი".

„სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ გამოგზავნილ მავნებლურ ინსტრუქციებს საკვებმოპოების შესახებ მე ლექციებზე, როგორც ზოოვეტერინარულ ისე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, ვურჩევდი სტუდენტებს პრაქტიკული გამოყენებისათვის იმ ზოგიერთი ღონისძიების სპეციფიკის განუმარტებლად, რაც აუცილებელია საქართველოს პირობებში. საკვებმოპოებისა და ბალახთესვის კურსის ლექციები, რომლებსაც მე ვკითხულობდი უმაღლეს სასწავლებლებში, თავისი შინაარსით მოწყვეტილი იყვნენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკას და უაღრესად აკადემიურ ხასიათს ატარებდნენ, ლექციებს კი მე ზერელედ ვამზადებდი.

მთელ რიგ სამეცნიერო კონსულტაციებს მე ვიყენებდი მავნებლური მიზნით, ასე მაგალითად: როცა ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტში 1937 წელს მე ვეწეოდი კონსულტაციას ხარაგოულის რაიონში მსხვილფეხა რქიან პირუტყვის სისხლიანი შარდის გაჩენის მიზეზთა საკითხზე, მთავარ ყურადღებას ვაქცევდი მცენარე შვიტას, მაშინ როცა ამ რაიონში გავრცელების მხრით შვიტას არ ჩამოუვარდება ბალახი გვიმრა.

დასკვნის მიცემისას გვიმრას განზრახ არ ვიხსენიებდი.

ამ მავნებლური დასკვნით მე არ მივეცი სწორი ორიენტირება აღნიშნულ საკითხში, თუმცა ვიცოდი, რომ გვიმრა ცდების დროს სისხლიან შარდს იწვევდა".

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელ შ. ნ. **დადიანის** მავნებლური საქმიანობა იწყება ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ის მუშაობდა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის აპარატში.

ამის შესახებ მან უჩვენა:

„...ჯულელმა მომცა მე დავალება მავნებლურად განმეხორციელებინა უმიწაწყლო გლეხთა გადასახლება საქართველოდან სოჭისა და სხვა რაიონებში მათი უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით, რაც მე განვახორციელე".

აღნიშნულის საფუძველზე **ბრალი ედებათ:**

1. **შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანს,** დაბადებულს 1892 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სენაკის რაიონში, ნაქალაქევში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, აზნაურებიდან, მეფის არმიის ოფიცერი, ცოლიანი, მოსამსახურე, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1920 წლიდან, უმაღლესი განათლებით, სასოფლო სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი, დაპატიმრებამდე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, წინათ სამართალში არ ყოფილა.

მასში რომ:

1. იყო ხელმძღვანელი საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას.

2. იყო მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციის აქტიური წევრი.

3. იყო ხელმძღვანელი მავნებლობისა მეცხოველეობაში სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის ჩა- [illegible]

1. იყო ერთერთი აქტიური მონაწილე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში არსებული კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას.

2. იყო აქტიური წევრი მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციისა

3. იყო ერთერთი ხელმძღვანელი—მავნებლობისა მეცხოველეობაში სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის ჩაშლის გზით, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^7, 58^{11} მუხლებში.

3. **იერემია დავითის-ძე გარსიაშვილს,** დაბადებულს 1894 წელს სოფ. საგარეჯოში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, გლეხებიდან, მოსამსახურე, ცოლიანი, უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე — აგრონომ-ზოოტექნიკოსი, დაპატიმრებამდე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, წინათ სამართალში არ ყოფილა.

მასში, რომ:

1. იყო ერთერთი აქტიური მონაწილე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში არსებული კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას.

2. ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მავნებლურ საქმიანობაში მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის ჩაშლის გზით, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^7, 58^{11} მუხლებში.

4. **შალვა ვასილის-ძე ყიფიანს,** დაბადებულს 1907 წელს სოფელ ახალსენაკში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, გლეხებიდან, მოსამსახურე, ცოლიანი, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, აგრონომი, მესაკვებე, დაპატიმრებამდე საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ლექტორი, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი.

მასში რომ:

1. იყო ერთერთი აქტიური მონაწილე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში არსებული კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას.

2. ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, მავნებლურ საქმიანობაში მეცხოველეობის დარგში, სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის ჩაშლის გზით, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^7, 58^{11} მუხლებში.

5. **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს,** დაბადებულს 1898 წელს, საქართველოს სს რესპუბლიკის ონის რაიონის სოფელ ხერხონისში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, მოსამსახურე, აზნაურებიდან, ცოლიანი, უმაღლესი განათლებით, აგრონომი, უპარტიო, დაპატიმრებამდე ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, წინათ სამართალში არ ყოფილა.

იმაში, რომ:

1. იყო ერთერთი აქტიური მონაწილე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში მომქმედი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას.

2. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მავნებლურ საქმიანობაში მეცხოველეობის ხაზით, სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის ჩაშლის გზით, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^7, 58^{11} მუხლებში.

6. **დიმიტრი სოლომონის-ძე მჭედლიშვილს,** დაბადებულს 1902 წელს საქ. სსრ საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში; ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, გლეხებიდან, ცოლშვილიანი, უპარტიო, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, გეობოტანიკოსი, დაპატიმრებამდე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის საკვებმოპოების განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1924 წელს დაპატიმრებული იყო საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიერ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის.

იმაში, რომ:

1. იყო ერთერთი აქტიური მონაწილე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში მომქმედი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წყობილების დამყარებას.

2. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მავნებლურ საქმიანობაში მეცხოველეობის ხაზით, სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის ჩაშლის გზით, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^7, 58^{11} მუხლებში.

7. **მიხეილ სტეფანეს-ძე ტიმოფეევს,** დაბადებულს 1896 წელს ქალ. თბილისში; რუსი, სსრ კავშირის მოქალაქე, მეშჩანებიდან, ცოლშვილიანი, მოსამსახურე, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, აგრონომი - გეობოტანიკოსი, დაპატიმრებამდე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის საკვებმოპოების განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, წინათ სამართალში არ ყოფილა.

იმაში, რომ ის

1. იყო აქტიური მონაწილე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში მომქმედი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წყობილების დამყარებას.

2. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მავნებლურ საქმიანობაში მეცხოველეობის ხაზით, სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის ჩაშლის გზით, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^7 58^{11} მუხლებში.

ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულმა ყველა პირმა მათთვის წაყენებულ ბრალდებებში თავი დამნაშავედ სცნო.

ეს საქმე უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს სპეციალურ კოლეგიას.

საქართველოს სსრ პროკურორი
ტალახაძე

1938 წლის 21 იანვარი.
ქ. თბილისი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

25 იანვარს

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა ხელისუფლება, როგორც მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა".

კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. პოლოსიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილება" — ქართულ და რუსულ ენებზე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები". კონსულტანტი ქარ- [illegible]

რიონ ჯამულეთის-ძე თოლორდავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1531761, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ 1936 წლის 6 ივლისს იაკობ სიმონის-ძე ნუცუბიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
კ. ჩარკვიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი [illegible] პროფესორ მიხეილ მიხეილის-ძე ასათიანის გარდაცვალებას. 17611

საქართველოს ექიმთა საზოგადოება [illegible] პროფესორ მიხეილ მიხეილის-ძე ასათიანის გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება 24 იანვარს. 17609

[illegible] ფსიქიატრიული ინსტიტუტი [illegible] პროფესორ მიხეილ მიხეილის-ძე ასათიანის გარდაცვალებას. 17610

მისამართი: რედაქცია — ტფილისი, რუსთაველის პრ. № 16, [illegible]
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის, სტამბა „კომუნისტი", თბილისი, [illegible] № 68.
მთავლიტის რწმუნებული 1408